გილოცავთ „ბორჯომ-ქალაქობის“ დღესასწაულს!

# ბორჯომი

16 სექტემბერი
პარასკევი
2022 წელი
№37-38 (9248)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

**ბესიკ ამირანაშვილი**
სახელმწიფო რწმუნებული
სამცხე-ჯავახეთის მხარეში.



ბორჯომელებო გილოცავთ ქალაქის დღესასწაულს! ჩვენი ბორჯომი არის დინამიურად განვითარებადი, თანამედროვე ქალაქი, რომელიც ყოველთვის ინარჩუნებს თავის უნიკალურობას. ყველაფერი, რითაც ბორჯომი ცნობილია, ეს ბორჯომელი მრავალი თაობის დამსახურებისა და ზრუნვის შედეგია, რომლებმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ქალაქის ისტორიაში. გილოცავთ თითოეულ თქვენგანს, ჩვენს თანამოქალაქეებს ბედნიერ თანაცხოვრებას, მშვიდობასა და კეთილდღეობას გისურვებთ!

## ბორჯომს მზრუნველობა არ მოაკლდება

**ოთარ არბოლიშვილი,**
ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი

თითოეულ ბორჯომელს მინდა მოგილოცოთ „ბორჯომ-ქალაქობის“ დღესასწაული. ეს არის ქალაქი, რომელიც თავისი უნიკალური ბუნებით, კულტურით და სტუმართმოყვარეობით გამოირჩევა.

„ბორჯომ-ქალაქობის“ დღესასწაული ჩვენი ქალაქის მრავალწლიანი ტრადიცია და მისი ცხოვრების ნაწილია.

ბორჯომი ყოველი ჩვენგანისათვის მშობლიური ქალაქია და სწორედ ჩვენი ძალისხმევით შევძლებთ, ის გავხადოთ კიდევ უფრო განვითარებული და უფრო მიმზიდველი კურორტი, როგორც ადგილობრივებისთვის, ასევე აქ ჩამოსული სტუმრებისთვის.

გულწრფელად ვამბობ, ამ ქალაქის მსახურებით არ დავიღლები. ჩვენი გუნდი სწორედ თქვენი მხარდაჭერით და გვერდში დგომით აკეთებს ქალაქისთვის სასიკეთო საქმეებს. სწორედ თქვენ გვეხმარებით, რომ ბორჯომისა და ბორჯომელების წინაშე არსებული გამოწვევები ღირსეულად გადავჭრათ.

**მიმდინარე** წელს ბორჯომში გამორჩეული ტურისტული სეზონი გვაქვს. ბორჯომის მუნიციპალიტეტმა უპრეცედენტო რაოდენობის ვიზიტორს უმასპინძლა, რაც პირდაპირ კავშირშია - მოსახლეობის კეთილდღეობასთან. როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის ასევე ვიზიტორებისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაც უფრო მეტად მიმზიდველს და საინტერესოს გახდის ჩვენს მუნიციპალიტეტს. ამ მიზნისათვის დაგეგმილია არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება სამშენებლო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია სხვადასხვა ლოკაციებზე.

● **რამდენია მიმდინარე წლის ბიუჯეტი?**

- მიმდინარე წლის ბიუჯეტი 41 267 131 ლარს შეადგენს, დაგეგმილი ბიუჯეტის თითქმის ნახევარი 18 423 508 ლარი გათვალისწინებულია ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. ინფრასტრუქტურული პროექტების ძირითადი პრიორიტეტებია: საგზაო ინფრასტრუქტურა, სასმელი წყლის რეაბილიტაცია, ცენტრალურ ქუჩაზე არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადების და სახურავების რეაბილიტაცია, სარეაკრეაციო სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია. საყრდენი კედლების მოწყობა და ნაპირსამაგრი სამუშაოები, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობის რეაბილიტაცია, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ხელშეწყობის პროგრამა და სხვა.

**(გაგრძელება მეორე გვერდზე)**

## სიყვარულით ვაშენოთ მშობლიური ქალაქი

**ინტერვიუ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან დავით ზაალიშვილთან**



● **ბატონო დავით რას ნიშნავს თქვენთვის საკრებულოს თავმჯდომარეობა ბორჯომის მუნიციპალიტეტში?**

- ჩემი უპირველესი მოვალეობაა, შევასრულო ამომრჩეველთა განაწესი, ვიზრუნო ყველა იმ დაპირების შესასრულებლად, რაც ჩვენს მოსახლეობას შევპირდი დეპუტატებთან ერთად განვახორციელო ყველა ის პროექტი, რომელიც მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის და მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. ეს ყოველივე უდიდესი პასუხისმგებლობაა. ამიტომ მჭიდრო კონტაქტი მაქვს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან და ვზრუნავთ მათი ყოველდღიური სოციალური პრობლემების არამარტო გათავისებისთვის, არამედ მათი გადაწყვეტისათვის.

● **რა ღონისძიებები განახორციელეთ ამომრჩეველთა განაწესის შესასრულებლად?**

განვლილი 2021 წელს და მიმდინარე წლის 8 თვეში საკრებულოში 22 საკითხი განვიხილეთ, რომელიც ძირითადდ ეხებოდა ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას. მივიღეთ 48 გადაწყვეტილება და 75 განკარგულება.

დახმარება აღმოვუჩინეთ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, მათ შორის მრავალშვილიან ოჯახებს, ახალდაქორწინებულებს, დედ-მამით დაობლებულ ბავშვებს, შშმ პირებს, წარმატებულ სტუდენტებს და ა.შ.

● **რას უსურვებთ ,,ბორჯომ-ქალაქობის“ ზეიმის მონაწილეებს?**

- ქართველებს კარგი სიტყვა გვაქვს - წუთისოფელი. მარადისობის ჭრილში მართლაც წუთია ჩვენი ამქვეყნად ყოფნა. ყველას გვინდა ბედნიერად გავლიოთ ქვეყნად ყოფნა. ყველას გვინდა ბედნიერად გავლიოთ ეს „წუთი“. ძალიან მინდა ყველა ბორჯომელმა ღირსეულად შეუხამოს ერთმანეთს სურვილი, შესაძლებლობა და ვალდებულება. თუ ამას შევძლებთ (და უნდა შევძლოთ) მაშინ ბედნიერებასაც ვეზიარებით.

ულევ სიხარულს და ბედნიერებას ვუსურვებ ჩემს ბორჯომელებს. მინდა ბორჯომი კიდევ უფრო ლამაზი და წარმატებული ქალაქი იყოს, მუნიციპალიტეტში არ გვყავდეს არცერთი უბინაო და სოციალურად დაუცველი ოჯახები, დაბა-სოფლები მალე გაუთანაბრდნენ ქალაქის განვითარების დონეს, რაც შეიძლება უმოკლეს პერიოდში მოხდეს სოციალურ სფეროში პრობლემის გადაწყვეტა. ეს ზეიმიც იმის დასტურია, თვალნათლივ დავინახოთ ჯერ კიდევ გადასაწყვეტი და მოსაგვარებელი პრობლემები. მრავალი დღესასწაული ერთად გვეზეიმოს ჩემო ბორჯომელებო!

## ერთად ვიზრუნოთ ბორჯომის წარმატებისათვის

**ანტონ ობოლაშვილი,**
საქართველოს პარლამენტის დეპუტატი



ძვირფასო ბორჯომელებო,

გილოცავთ სახალხო დღესასწაულს - ბორჯომ-ქალაქობას, ეს დღე ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია და ყოველთვის განსაკუთრებულად აღინიშნება.

ბორჯომი უნიკალური ბალნეოლოგიური და კლიმატური კურორტია თავისი რელიეფური და მიკროკლიმატური თავისებურებებით, კურორტის ძირითადი სამკურნალო საშუალებაა მინერალური წყალი „ბორჯომი“, რომელიც გამორჩეულია თავისი სამკურნალო თვისებებით და ოდითგანვე იზიდავდა დამსვენებლების დიდ ნაკადს.

ბორჯომის თანამედროვე განვითარების პერსპექტივას ხელს უწყობს მისი მდიდარი არქიტექტურული მემკვიდრეობა, ლამაზი ბუნება, ზამთრის კურორტ ბაკურიანთან სიახლოვე, ეკოლოგიურად სუფთა გარემო და გამორჩეული კლიმატი.

ბორჯომს გააჩნია უდიდესი პოტენციალი განვითარებისთვის, რაზეც ჩვენ, ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ.

ჩემთვის საამაყოა, რომ ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში წარმოვადგენ ბორჯომს და მზად ვარ ყოველთვის დავიცვა ბორჯომის და თითოეული ბორჯომელის ინტერესები.

მინდა ვუსურვო ბორჯომს და ბორჯომელებს წინსვლა და წარმატებები, ერთმანეთის სიყვარული, კეთილდღეობა და მშვიდობა.

ერთად ბორჯომის წარმატებისთვის!

## დალოცვილი იყოს ბორჯომი და ბორჯომელები



**ყველა** ბორჯომელს და ბორჯომის თაყვანისმცემელს გილოცავთ ქალაქის დღესასწაულს და გისურვებთ მტკიცე ჯანმრთელობას, დიდ სიხარულს, მშვიდობას შინ და გარეთ. განსაკუთრებით ახალგაზრდა ბორჯომელებს გულწრფელად ვულოცავ მშობლიური ქალაქის დღესასწაულს.

ჩემი მამაშვილური თხოვნა და ლოცვა-კურთხევა იქნება, რომ ეზიარონ მართლმადიდებლურ რწმენას. დღეს ადამიანი სიხარულს ეძებს. შინაგანი სიხარული, ყველა ახალგაზრდას და საერთოდ ნებისმიერი ასაკის ადამიანს თან უნდა სდევდეს. ეს არის სულის სიხარული. სულიერი სიხარული მხოლოდ უფალთან ურთიერთობაში მოვა.

ღმერთმა დალოცოს ბორჯომი და ყველა, ვინც ზრუნავს მისი შემდგომი აღმშენებლობისა და გამშვენიერებისათვის.

**იხარეთ მრავალჟამიერ**

**დანიელი**

## საპატიო მოქალაქეებს ბაკურიანშიც ავირჩევთ

**ეკატერინე ორჯონიკიძე,**
ბაკურიანი განვითარების სააგენტოს დირექტორი



,,ბორჯომ-ქალაქობის“ დღესასწაული რამდენიმე ათეული წელია აღინიშნება. სახალხო დღესასწაული გამორჩეულია მრავალფეროვნებით. ზეიმობს დიდი და პატარა, ადგილობრივი და ბორჯომში ჩამოსული სტუმარი. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ბორჯომის საპატიო მოქალაქის სტატუსი პირველად 1976 წელს კოსმონავტებს მიენიჭათ. შემდეგ, 80-იანი წლებიდან თითქმის ყოველ წელს ხდებოდა საპატიო მოქალაქეების სტატუსის მინიჭება. საპატიო მოქალაქეობა მეტად საპასუხისმგებლო და სასიამოვნო ტრადიციაა. მახარებს ის ფაქტი, რომ დღემდე ისევ სახელდება ბორჯომისთვის განსაკუთრებული პიროვნებები თავიანთი ღვაწლითა და სიყვარულით გამორჩეულები.

მე, როგორც ბაკურიანის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი ვფიქრობ, რომ ბაკურიანშიც დავამკვიდრო ,,საპატიო ბაკურიანელის“ სტატუსის მინიჭების ტრადიცია. ვულოცავ ,,ბორჯომ-ქალაქობას“ ბორჯომის თითოეულ მოქალაქეს და მის სტუმარს.

მხოლოდ სიკეთის კეთების სურვილი მამოძრავებს, როცა ვამბობ, რომ გაზეთი „ბორჯომი“ რეგიონისთვის მნიშვნელოვნად ფუნქციური გამოცემაა, ამიტომ ის უნდა იყოს გარეგნულად მეტად ლამაზი და შინაარსიანი. ამის ცოცხალი მაგალითი გახლდათ ჩვენ მიერ დაფინანსებული კობა წაქაძისთვის მიძღვნილი გაზეთის ფერადი ნომერი, რომელიც თვალსა და ხელს შუა გაქრა, მკითხველმა სიამოვნებით დაისაკუთრა. სწორედ, ამ მიზნით ჩვენი სააგენტო გამოდის ინიციატივით ერთი წლის განმავლობაში დააფინანსოს გაზეთი ფერადი ნომრები. ყველანაირად გვერდით დავუდგები რედაქციას, რათა გაზეთი გამოდიოდეს მოწოდების სიმაღლეზე!

## ბორჯომი

პატარა ბორჯომი, პატარა
ფიჭვების, ნაძვების ქალაქი,
სიმღერა, სიმღერა, არ კმარა,
ლექსს დავწერ -
ფიჭვების,
ნაძვების
კარნახით...
აქ მიყვარს წყაროთა ჩუხჩუხი,
მთებს მინდა ვხედავდე
ნისლიანს,
აქ მიყვარს ნაძვების
ჩურჩული,
მათაც სიყვარული იციან.
იციან,
იციან
ნაძვებმა,
ამ მხარეს უმღერდნენ
მგოსნები...
პატარა ლექსში ვერ ჩავტიე,
ეს გული დამწვარი
ოცნებით.
სიმღერა, სიმღერა მწადია,
გრძნობა ვინ დააშროს
უძირო,
დავტკბები ნაძვებთან
ჩურჩულით,
დავთვრები ულვინოდ.
მე მიყვარს ბორჯომი
პატარა,
ფიჭვების,
ნაძვების
ქალაქი...
სიმღერა, სიმღერა არ კმარა,
ლექსს დავწერ -
ფიჭვების,
ნაძვების კარნახით...

**რობერტ სუცქირიძე.**

# სახალხო დღესასწაული - მეგობრობის, სიყვარულის

## ბორჯომს მზრუნველობა არ მოაკლდება

● **რომელ ინფრასტრუქტურულ პროექტს გამოარჩევდით?**

-მიმდინარე წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები მთლიანად შერჩეულია და მორგებულია მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად. თუმცა რამდენიმე მათგანი ყველაზე მასშტაბური და ფართო საზოგადოების ყურადღებას ითვალისწინებს.

განახლებული რეგიონების პროგრამის ფარგლებში ბორჯომში მიმდინარეობს მერაბ კოსტავას სახელობის სკვერისა და მოედნის რეაბილიტაცია (ღირებულება შეადგენს 4 192 532 ლარს). პოექტის ფარგლებში დაგეგმილია მოედნის სავალი ნაწილის მოწყობა ქვაფენილით, ფეხით სავალი ნაწილის რეაბილიტაცია და დასასვენებელი სივრცის მოწყობა, ხოლო კოსტავას სახელობის სკვერში დაგეგმილია სკვერის სრული რეაბილიტაცია. მოეწყობა ფეხით სავალი ბილიკები, ბავშვთა გასართობი სივრცეები, ღია კინოთეატრი, საზაფხულო კაფე, ჭადრაკის დაფა, დასასვენებელი ფანჩატურები, დეკორატიული პერგოლა, განხორციელდება არსებული შადრევანის რეაბილიტაცია, მოეწყობა დეკორატიული განათება-გამწვანება, დამონტაჟდება დასასვენებელი სკამები, ურნები, წყლის დასალევი ბიუვეტები. აღნიშნული პროექტი დასკვნით ეტაპზე დაწყებულია მოსაპირკეთებელი სამუშაოები, რომლის დასრულებაც ოქტომბრის ბოლოს იგეგმება.



● **სკვერების მიმართულებით რას ითვალისწინებთ?**

ასევე მნიშვნელოვანია ბორჯომში რუსთაველს ქუჩაზე სანაპიროს მიმდებარედ სკვერის მოწყობა, რომლის პირველი ეტაპის სამუშოები დასრულდა მიმდინარე წელს, ხოლო სკვერის მეორე ეტაპის რეაბილიტაციის სამუშოებზე გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი, პროექტი არის მრავლწლიანი და სამშენებლო სამუშაოები დასრულდება 2023 წელს, რომელიც ფინანსდება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით.

მიმდინარე წელს საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 3 766 912 ლარი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯამში განხორციელება დაახლოებით 10 კმ-მდე გზის მონაკვეთის მოწესრიგება. სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს ყვიბისში, ბაკურიანში, სადგერსა და ცემში. ასევე დაწყებულია ჭიხარულასა და მოლითს შორის მისასვლელი გზის რეაბილიტაციაც.

გზების რეაბილიტაცია დაგეგმილია მზეთამზეში, ტიმოთესუბანში, საკირეში, დგვარში.

ბორჯომში ერთიანი მოწესრიგებული იერსახის შექმნისათვის მნიშვნელოვანი პროგრამაა ცენტრალურ ქუჩაზე არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადების და სახურავების რეაბილიტაცია. მიმდინარე წელს დაგეგმილია რამდენიმე ბინის გარე ფასადის მოწესრიგება.

● **ბორჯომმა როგორც კურორტმა განვლილი 30 წლის მანძილზე დიდი რეგრესი განიცადა, რა კეთდება სახელოვანი წარსულის ასაღორძინებლად?**

- ისტორიული შენობების რესტავრაცია-რეაბილიტაციისათვის ქ. ბორჯომში აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს დასრულდა ბორჯომში კავალერიის შენობის რესტავრაცია და მუზეუმად ადაპტირება, რომელიც საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა (ღირებულებით 3 033 996 ლარი). შენობა იქნება მულტიფუნქციური, სადაც განთავსდება სამუზეუმო, საგამოფენო, საკონფერენციო, კომერციული და სხვა სივრცეები.

ასევე ბორჯომის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტია ქ. ბორჯომში ცენტრალურ (ისტორიულ) პარკში მდებარე ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაცია და მუზეუმად ადაპტირება. (პროექტის ღირებულება შეადგენს 2 636 980 ლარი), პროქტი დაფინანსებულია მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ რომლის დასრულებაც შემოდგომაზე იგეგმება.

● **ორკვირიანმა ხანძრებმა სერიოზული ზიანი მიაყენა ჩვენს საკურორტო ტყეებს?**

გეთანხმები, ზარალი მნიშვნელოვანია, დაიწვა დაახლოებით 200 ჰექტარი ტყე, ცენტრალურმა ხელისუფლებამ ქმედითი დახმარება აღმოგვიჩინა. ოთხი სამინისტროს 1300 წარმომადგენელი: ქართული ჯარის ნაწილები, მაშველი-მეხანძრეები, გარემოს დაცვის მუშაკები, სასაზღვრო დაცვის შვეულმფრენები, თურქეთის მფრინავები თავდადებით ებრძოდნენ სტიქიას, ზოვრეთის, დგვარის და ლიკანის მიდამოებში, მინდა ბორჯომელთა სახელით ყველას ულრმესი მადლობა გადავუხადო იმ თავდადებისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს სტიქიის წინაალმდეგ ბრძოლის საქმეში.

**მოვუწოდებ მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ტყეში დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნები.**

## სიყვარულისა და მეგობრობის ქალაქი

**ითქვი „ბორჯომს“ და არ შეიძლება სახეზე კმაყოფილების ღიმილმა არ გადაგიაროს, გულით არ გაიხარო, ამ ლამაზ ქალაქში გატარებულმა დღეებმა, აქაური ხალხის სიკეთემ და გულუხვობამ გული არ აგიჩქროლოს, სტუმარ-მასპინძლობის დიდებული ტრადიციები, პატივისცემა არ გაგრძნობინოს, დასვენების თუ მკურნალობის დღეები კეთილად არ გაგახსენოს.**

**ბორჯომი - საქართველოს ერთ-ერთი რიგითი სამრეწველო ქალაქი როდია, თუმცა ესეც საკმარისი იქნებოდა მისი სახელის უკვდავების, დაფასებისა და პატივისცემის ღირსი ყოფილიყო.**

**ბორჯომი - სიყვარულის და მეგობრობის ქალაქია;**

**ბორჯომი - კავკასიის მარგალიტია;**

**ბორჯომი - მსოფლიოში სახელგანთქმული მინერალური წყლის მწარმოებელია;**

**ბორჯომი - ადამიანთა ჯანმრთელობის კერაა;**

**ბორჯომი - სპორტული ასპარეზობების და ტურიზმის განვითარების საუცხოო ადგილია;**

**ბორჯომი - ბუნების სიმშვენიერის სავანეა;**

**ბორჯომი - ხალხთა ძმობის აკვანია;**

**ბორჯომი - სამთავრობო დასვენების კერაა;**

**ბორჯომი - კონფერენციების, სიმპოზიუმების ჩატარების ერთ-ერთი ცენტრია;**

**ბორჯომი - სტუმარ-მასპიძლობის ლამაზი ტრადიციების გამგრძელებელია;**

**ბორჯომი - საქმიანი ადამიანების შეხვედრის კუთხეა;**

**ბორჯომი - სამცხე-ჯავახეთის კარიბჭეა;**

**ბორჯომი - ქართული მწერლობის კულტურის და ხელოვნების მუშაკთა შემოქმედების წყაროა;**

**ბორჯომი - მუზების მხარეა;**

**ბორჯომი - ის წალკოტია, რომელიც ხელიხელ უნდა ვაგოგმანოთ, გავუფრთხილდეთ და შთამომავლობას შემოვუნახოთ, რათა ამ ქალაქში იგრძნონ ადამიანებმა სულიერება, ზნეობა, ესთეტიკური ტკბობა, დააფასონ ადამიანური ფასეულობები, ამიტომაცაა საჭირო ბორჯომელი და მისი სტუმარი უფრთხილდებოდეს დღემდე არსებულს და თითო აგური მიჰქონდეს მისი მომავლის მშენებლობის ხარაჩოებზე.**

**ბორჯომი - ის წალკოტია, სადაც შესანიშნავი ინტელიგენცია,ულამაზესი ახალგაზრდობა, შრომისმოყვარე ადამიანები ცხოვრობენ, ერის სასიქადულო ადამიანები ისვენებენ.**

**მართლაც რომ ღმერთს დაუბერტყავს ბარაქიანი კალთა ამ ხეობაში.**

**ბორჯომი - საქართველოს ერთ-ერთი საამაყო ქალაქთაგანია, ღმერთი იყოს ბორჯომის ცის ქვეშ მცხოვრებთა და მის სტუმართა მარადიული მფარველი.**

**ბორჯომი - ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ცნობილი და აღიარებული კურორტია. საოცრად მდიდარმა და უაღრესად მრავალფეროვანმა ბუნებამ, უნიკალურმა სამკურნალო მინერალურმა წყლებმა მას ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში გაუთქვა სახელი.**

**იშვიათად შეხვდება ადამიანი ისეთ სამკურნალო კლიმატური ფაქტორების სინთეზს, როგორიც ბორჯომშია. ვიწრო ხეობები და ცადაზიდული მარადმწვანე ფერდობებზე მოუხჩუხე ნაკადულები, ისტორიული ძეგლები და ტურისტული ობიექტები უამრავ დამსვენებელს, მოაგარაკეს და ტურისტს იზიდავს ყოველწლიურად ბორჯომისა და მისი ჯგუფის კურორტები ათასობით ავადმყოფ დამსვენებელს და ტურისტს და სპორტსმენს მასპინძლობს . მათთვის შექმნილია მკურნალობისა და დასვენების შესანიშნავი პირობები.**

**მაშ, მოდით ბორჯომის უკვდავებას, მის სანაქებო მომავალს გაუმარჯოს!**

## მზის ენერგიის პანელები განთავსდა

**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის ლიკანის №3 და დვირის საბავშვო ბაღის შენობაზე მზის ენერგიის პანელები განთავსდა.

საქართველოს სოფლის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის *(ENPARD III)* პროგრამის ფარგლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ გრანტის სახით 99 000 ლარი მოიპოვა, რითაც მოხდა მზის ენერგიის პანელების შეძენა-დამონტაჟება.

მზის ენერგიის პანელებით გამომუშავებული ელექტრო ენერგიით ისარგებლებს გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაღები.



აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მოხდება ელექტროენერგიის მიწოდება მზის ენერგიის ხარჯზე, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო სახსრების დაზოგვას და შეამცირებს გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას.

## ბაკურიანის განვითარების სააგენტო აქტიურ ნაბიჯებს დგამს

**მიმდინარე** წელს დაკომპლექტდა და ფუნქციონირება გააძლიერა სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტომ“. შეიქმნა ადმინისტრაციის, ტრანსპორტის, დასუფთავების, ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურები. აღნიშნული სამსახურები აქტიურად ფუნქციონირებენ. სააგენტო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სანიტარულ წესრიგს, რისთვისაც შეიძინა რამდენიმე ათეული ურნა, ხდება ნარჩენების სისტემატური გატანა, ირეცხება და სუფთავდება ცენტრალური ქუჩები და ჩიხები. სააგენტო აქტიურად ეხმარება მოქალაქეებს და მომსახურებას უწევს სააგენტოს მფლობელობაში არსებული ტექნიკით მათი მომართვიანობის საფუძველზე. დასუფთავების, ზედამხედველობის და ტრანსპორტის სამსახურის თანამშრომლებისთვის შევიძინეთ სპეციალური ფორმები ოთხივე სეზონისთვის, რომელიც უფრო კომფორტულს გახდის მათ მუშაობას. აღირიცხა გადამხდელ აბონენტთა რაოდენობა, ბაკურიანში საგრძნობლად შემცირდა უკანონო მშენებლობები, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიასთან და საკრებულოსთან თანამშრომლობით ერთობლივად ხორციელდება შინაური ცხოველის ყოლის წესები, რომელიც შეზღუდავს შინაური ცხოველების მიერ ქუჩების დაბინძურებას და მწვანე ნარგავების დაზიანებას. უახლოეს მომავალში ბაკურიანისა და დიდი მიტარბის მიმართულებით იმოძრავებს თანამედროვე ტიპის საზოგადოებრივი ტრანსპორტი, შეიქმნება საპარკინგე ადგილები, რომელიც განტვირთავს ქუჩებს და აღმოიფხვრება საცობები. მსოფლიო ბანკის დაფინანსებით სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ დეპოს მშენებლობისთვის მიმდინარეობს პროექტირება. ბაკურიანი ემზადება 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობისთვის. მიმდინარეობს „დიდველი“ სათხილამურო ტრასამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, ასევე სააგენტოს ინიცირების საფუძველზე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო 2023 წლის გაზაფხულიდან გეგმავს ხუთი ჩიხის სრულ რეაბილიტაციას, წყლის და წყალარინების სისტემის მოწესრიგებას, სამანქანო და საფეხმავლო გზის დაგებას, ასევე მიმდინარეობს ბაკურიანის დასასვენებელი პარკის რეაბილიტაცია, რომელიც 2023 წლის გაზაფხულზე დასრულდება. განახლებული რეგიონების პროექტის ფარგლებში დაიგეგმა ბაკურიანის ცენტრალური ქუჩის რეაბილიტაცია, რაც გულისხმობს საერთო ლობეების, სახურავების, ფასადების რეაბილიტაციას და ახალი ჯიხურების განთავსებას. სააგენტოს შუამდგომლობით იგეგმება კომუნიკაციების მიწის ქვეშ მოქცევა, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს დაბის იერსახეს. სამთო კურორტების გამოცდილების გაზიარების მიზნით მიმდინარე წლის ივნისში, სააგენტოს თავმჯდომარე იმყოფებოდა თურქეთის რესპუბლიკაში ქალაქ ერზერუმის პროვინციის სამთო კურორტ პალანდოკენში, სადაც შედგა შეხვედრა ერზერუმის მერთან და წამყვანი უწყებების ხელმძღვანელ პირებთან, უახლოეს პერიოდში ვგეგმავთ საპასუხო ვიზიტით მოვიწვიოთ დელეგაცია ერზერუმიდან, რომლებიც ადგილზე გაგვიზიარებენ გამოცდილებას და მოგვცემენ რეკომენდაციებს, რის შემდეგაც ვგეგმავთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებას.

სააგენტოს ინიციატივით მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან „კუკუშკის“ და მიმდებარე გაჩერებების რეაბილიტაციის პროექტზე. 2022 წლის 30 სექტემბერს ბაკურიანის განვითარების სააგენტო, საქართველოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფების ასოციაციებთან (GALAG) პარტნიორობით, იწვევს დონორთა საკოორდინაციო შეხვედრას ბაკურიანის განვითარების პერსპექტივების ერთობლივი განხილვის და მიმდინარე საკითხების ქმედითი ნაბიჯების შეთანხმების მიზნით, რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების განვითარების სამოქმედო გეგმების შესაბამისად.

**ნუგზარ ქუთათელაძე,**
**ბაკურიანის განვითარების სააგნეტოს თავმჯდომარის მოადგილე.**

## საკრებულოს კომისიის სხდომა

**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომა გაიმართა, რომელსაც ამავე კომისიის თავმჯდომარე **მაკა მანჯავიძე** უძღვებოდა.

კომისიის სხდომას წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილიც** ესწრებოდა.

**კომისიის წევრებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:**

**1. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ (დადგენილების პროექტი);**

**2. „ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის/ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილების პროექტი);**

**3. „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;**

**4. ბორჯომის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი;**

**5. ბორჯომის მუნიციპალიტეტის დასახლებების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ (დადგენილების პროექტი).**

# ძმობისა და სტუმარ-მასპინძლობის ზეიმია!

## ჩვენი კურორტის ბიბლიოგრაფია

# ვიცნობდეთ ბორჯომის მემატიანეებს

**ის ფაქტი,** რომ ბორჯომის ხეობა კურორტების და ტურიზმის მხარეა, საქართველოს ფარგლებს გარეთაც კარგადაა ცნობილი, მაგრამ ამ უმშვენიერეს მხარეს, შესანიშნავ ფლორას და ფაუნას, მინერალურ წყლებს და სხვა არაერთ სიმდიდრეს რომ მრავალი პოპულიზატორი ჰყავს, ალბათ ბევრმა არ იცის. არადა, სავალდებულოა ვიცოდეთ იმ ღვაწლმოსილ ადამიანებზე, რომლებმაც უდიდესი შრომა გაიღეს და მნიშვნელოვანი წიგნები მიუძღვნეს კურორტ ბორჯომს, მის უნიკალურ სიმდიდრეს.

ჩემს წინა პროფესორ **ნიკოლოზ ყიფშიძის** სქელტანიანი ნაშრომი **„ბორჯომი და მისი ხეობა“** (წიგნი 1954 წელსაა გამოცემული). ავტორი მაღალ პროფესიულ დონეზე მიმოიხილავს მხარის ისტორიას, მის ადგილმდებარეობას და კლიმატურ პირობებს, მინერალურ წყლებს, მათ ფიზიკურ, ქიმიურ თვისებებს და შემადგენლობას. მინერალური წყლის მოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე. დეტალურად აღწერს კურორტ-ქალაქის პარკებს, საწარმოებს, კულტურულ დაწესებულებებს.

აღწერს ბორჯომის ჯგუფის კურორტებს (წაღვერი, ცემი, ლიბანი, პატარა ცემი ბაკურიანი და სხვა).

ავტორი ნაშრომში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ბორჯომის მინერალური წყაროების აღმოჩენის „ოფიციალურ“ ისტორიას.



ბორჯომის ხეობის ისტორიას ეძღვნება მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკის ბატონ **გიორგი ხუჯაძის „ნარკვევი-მეგზური“,** წიგნი გამოცემულია 1969 წელს.

ავტორი მოკლედ აღწერს ბორჯომის ხეობის ისტორიას, ხეობის ძველ და ახალ ყოფა-ცხოვრებას, კულტურას, მის ბუნებრივ და ისტორიულ ადგილებს.

ცალკე თავი ეძღვნება მხარის ღირსშესანიშნაობებს (მიმოხილულია სადგური, ტიმოთესუბანი, ტაბაწყური, გუჯარეთის ხეობა, დაბაძველი, ტაძრისი და სხვა.)

1975 წელს გამოცემულია შ. ფარჯანაძის და ვ. მახათაძის წიგნი **„ბორჯომი ბალნეოლოგიური კურორტი“,** სადაც ავტორები მიმოიხილავენ რა კურორტის განვითარების ისტორიას, მნიშვნელოვან ადგილს უთმობენ კურორტის სამკურნალო ფაქტორებს, კლიმატს, ჰიდროგეოლოგიურ და სამკურნალო წყლის ქიმიურ შემადგენლობას, მინერალური წყლის ფიზიოლოგიურ თვისებებს და მისი სამკურნალოდ გამოყენების მეთოდებს, აღწერენ სამკურნალო დაწესებულებების განლაგებას კურორტ ბორჯომში და სხვა. ასევე მითითებულია ტურისტული და საექსკურსიო მარშრუტები.

**მ. ნოდიას** სქელტანიანი წიგნი **„საქართველოს კურორტები და საკურორტო რესურსები“.** საქართველოს კურორტებს შორის ყველაზე მეტი 33 გვერდი დათმობილი აქვს ბორჯომს, ბორჯომის ჯგუფის კუროტებს და სამკურნალო ადგილებს.

წიგნში უხვადაა წერილები ბორჯომის, როგორც პირველხარისხოვანი კურორტის სამკურნალო ფაქტორებზე, კომპლექსური მკურნელობისათვის შექმნილია ისეთი საშუალებები, როგორიცაა აეროსოლიარეუმები, ტერენკური და ბალნეოფიზიოთერაპიული და ბალნეოთერაპია.

ხაზგასმითაა მითითებული, რომ ბორჯომში წარმატებულ შედეგებს იძლება არა მარტო ბორჯომის მინერალური წყაროების სამკურნალო თვისებები, არამედ კლიმატური ფაქტორებიც.

გარდა ამისა, წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ბორჯომ-ბაკურიანის საკურორტო ზონის მიმოხილვას. კერძოდ, ავტორი ხაზს უსვამს რაიონის ღირსშესანიშნავ საკურორტო-სამკურნალო ადგილებს სადგერს, ლიკანს, დაბას, წაღვერს, დიდ ცემს, ტბას, ლიბანს, პატარა ცემს, ბაკურიანს, ციხისჯვარს, მზეთამზეს, ტიმოთესუბანს, მაჭარწყალს, ახალდაბას, ნეძვს და სხვა. ამასთან მითითებულია, რომ ეს კურორტები და სამკურნალო ადგილები თავისი სამკურნალო კლიმატური და ბალნეოლოგიური ფაქტორებით სათანადო ათვისების პირობებში შეიძლება გამოყენებულ იქნას თითქმის ყველა დაავადების სამკურნალოდ, რომლებიც ნაჩვენებია კურორტული მკურნალობისათვის.

პროფესორ **პარმენ ზაქარაიას** ისტორიულ-არქეოლოგიური **გზამკვლევი „თბილისი-ბორჯომი-ვარძია“** – (გამოცემული 1977 წელს), ძირითადად ტურისტებისა და ექსკურსანტებისთვისაა გათვალისწინებული და თბილისიდან ვარძიამდე ტურისტლ მარშრუტს აღწერს.

შინაარსიანად საუბრობს ქ. ბორჯომზე, მის ღირსშესანიშნაობებზე, გოგიას და პეტრეს ციხეებზე, სადგერზე. შემდეგ ყურადღებას ამახვილებს ლიკანზე, მის ტერიტორიაზე განლაგებულ მრავალ საინტერესო ისტორიულ ძეგლებზე.

**ჩ. ლეზგიშვილის** ბროშურა **„ლიკანი“** – (გამოცემული 1982 წელს) – ბორჯომის მოკლე მიმოხილვის შემდეგ მოყავს ცნობილ ადამიანთა განმარტებები, თუ რას ნიშნავს სიტყვა ლიკანი?

მწერალ **გიორგი შატბერაშვილის** განმარტებით, ლიკანი საგანგებოდ გამომცხვარი თონის პურია, რომლის ერთი მხარე სწორია, ხოლო მეორე ნახევარმთვარესავით შეზნექილი.

პროფესორ **ზ. ჭუმბურიძის** აზრით, „ლიკანი“ ალბათ, მისი რკალისებური მდებარეობის გამო დაერქვა.

**გიორგი ლეონიძე** ასეთ ახსნა-განმარტებას იძლევა: **„ლიკანი-ლიგანი-ვიწრო განი, ანუ ვიწრობი, ორ მთას შორის“.**

არქეოლოგიური გათხრებისა და მატერიალური ძეგლების მონაცემებით ლიკანი როგორ სოფელი არსებობს VIII-IX საუკუნიდან მისი ხელმეორე აღორძინება XVII საუკუნის დამდეგიდან იწყება.

პროფესორების **არნ. გეგეჭკორის და თ. ურუშაძის** წიგნი **„საქართველოს ნაკრძალთა ბილიკებით“** (გამოც. 1982წ.) პოპულარული ენით მკითხველს მოუთხრობს საქართველოს ნაკრძალების, მათ შორის ბორჯომის ნაკრძალის თავისებურებებზე, გეოგრაფიულ მდებარეობაზე და იმ ღონისძიებებზე რომლებიც ფლორისა და ფაუნის დასაცავად ტარდებოდა ჩვენს ქვეყანაში.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დირექტორის **ლევან გოციძის** „წიგნი-ნარკვევი“ სათაურით **„ტყის მეურნეობის განვითარება, ნაკრძალის შექმნა და ეროვნული პარკის ჩამოყალიბება ბორჯომის ხეობაში“** (გამოც. 2001წ.) ეძღვნება ბორჯომის ხეობაში ტყის განვითარების ისტორიას. დარგის ობიექტთა შექმნის და მათი განვითარების საკითხებს. აქ მომუშავე მეტყევე-მეცნიერების, მეტყევე-პრაქტიკოსების, ენტომოლოგების და ბიოლოგთა სამეცნიერო და სამეურნეო საქმიანობას.

**ტ. ჩიქოვანის და ლ. გოციძის** ბროშურა **„ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალი“** (გამოც. 1987წ.) ეძღვნება ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის გეოგრაფიულ მდებარეობას და ძვირფას სანადირო და სარეწაო ცხოველთა (პირველ რიგში კავკასიური ირემი) დაცვის, აღდგენისა და გამრავლების, აგრეთვე ენდემური ჯიშების ტყის მასივების შენარჩუნებისათვის გაწეულ მუშაობას.

**ვ. ნინიძის წიგნ-გზამკვლევი** სათაურით **„ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონა“** მკითხველს მოუთხრობს იმ ფაქტზე, რომ 1995 წელს გერმანიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერითა და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF დახმარებით საქართველოში დაარსდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პირველი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, რომელიც 2001 წლის 11 აპრილს ოფიციალურად გაიხსნა. მისი ფართობია 79,0 ათასი ჰა (ანუ ქვეყნის ტერიტორიის თითქმის 1%) იგი ერთ-ერთი უდიდესია ევროპაში და წარმოადგენს ოთხი განსხვავებული ბიოგეოგრაფიული ერთეულის (კოლხურის, კავკასიურის, წინა აზიურისა და მცირე აზიურის) საკონტაქტო არეს.

**თემურ ხუხუნაიშვილი**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი**
**(გაგარძელება იქნება)**

# ცხოვრების საუკეთესო წლები ბავშვების სამსახურში



**ქეთინო ნოზაძე** სამი ათეული წლის წინ ჩაუდგა სათავეში ბავშვთა ორგანიზაციას. ეს არ იყო ადვილი ბნელ 90-იან წლებში, მაგრამ როცა შინაგანი მზაობა და დიდი მონდომება გაქვს, გყავს თანამოაზროვნეები, საქმის დაწყებაც იოლია.

ქეთევანს არ აკლდა ენთუზიაზმი, სპონსორებთან ურთიერთობის დიპლომატიური უნარები. ჯერ სახელი დაერქვა „ბავშვთა ფედერაცია“, რომელმაც სხვადასხვა ეტაპზე გამოავლინა ახალგაზრდების ნიჭიერების შესაძლებლობები, მისწრაფებები. ვინ მოთვლის, რამდენი ბავშვი დაფრთიანდა ბავშვთა ფედერაციის ბაზაზე. განთქმული სილამაზის კონკურსები, სიყვარულის საღამოები, ინტელექტკლუბის კონკურსები – ეს არასრული ჩამონათვალია, რითაც ასეულ ბავშვს დაუსახეს მომავლის გზა. ეს ყველაფერი კომპლექსურად ძლიერ ხელსა და მახვილ გონიერებას მოითხოვდა. გავიდა ხანი და არ შეწყვეტილა ქალბატონი ქეთინოს სურვილი და საქმიანობა, უბრალოდ, შეიცვალა სახელი, ფორმა და ჩამოყალიბდა ალტერნატიული ცენტრი, – არაფორმალური განათლების, უკვე ახალგაზრდული ტრენინგ-ცენტრის სახით. სადაც ახალგაზრდებთან ერთად გეგმავენ სასარგებლო პროექტებს, აჩვევენ ქველმოქმედებას, იღრმავებენ ცოდნას რელიგიაში, უვითარდებათ თვითგამოხატვისთვის აუცილებელი უნარები. და განა ეს ცოტაა? მიუხედავად დაბრკოლებებისა და პანდემიისა, მაინც ბორჯომის ახალგაზრდობას გააჩნია ადგილი, სივრცე, სადაც სკოლის შემდეგ აგრძელებენ განათლების მიღებას. ქალბატონი ქეთევან ნოზაძე თავისი კავშირებით, კომუნიკაბელური უნარჩვევებით ახერხებს ამ ბავშვებს გააცნოს ცნობილი და პროფესიონალი ადამიანები, გაიარონ მასტერკლასები, მოხვდნენ ბანაკებში. კაცმა რომ თქვას, ღვაწლიც სხვა რაღაა?!

რადგან პიროვნულ თვისებებს ახლოს არ ვიცნობდი, მისთვის საყვარელ, სანდო მეგობრებს ვთხოვე ხაზი გაესვათ ქალბატონი ქეთის მახასიათებელ, ადამიანურ თვისებებზე, რაც მოპოვებული ინფორმაციებიდან უხვად დაგროვდა. აი, ის განსაკუთრებული ფრაზები, რაც მას გულწრფელად მიუძღვნეს: მისი თბილი და სათუთი გრძნობები ბავშვებთანაა დაკავშირებული; მასში ბევრი დადებითი თვისებაა გაერთიანებული; თვლის, რომ ყველა ბავშვს აქვს ბედნიერი ბავშვობის უფლება; ცდილობს, ყველანაირად მომავალ თაობას აჩუქოს მაქსიმალურად ბედნიერი წუთები; ყოველთვის იცის, ყველაზე მეტად როგორ გაახაროს მეგობარი, თანამშრომელი, მოსწავლე; ვერ იტანს უსამართლობას; მასთან მუშაობა არ არის ადვილი, რადგან ის მუშაობს 24 საათი და ასევე მოითხოვს სხვისგანაც; არასდროს გადადებს შესასრულებელ საქმეს მეორე დღისთვის; ყოველთვის ბოლომდე იხარჯება; მეგობრად თუ მიგიღო, ბოლომდე გიერთგულებს; ხშირად გვიფიქრია – მიანდე საქმე და იყავი მშვიდად!

**მართლაც ასეთია გამორჩეული ქალბატონი ქეთევან ნოზაძე.**

**მონიკა ჭანტურია.**

# მშვენდება კოსტავას სკვერი

**მერაბ** კოსტავას სახელობის პარკის ტერიტორიაზე მეორე წელია, რაც მიმდინარეობს სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ჯერ კიდევ შარშან, ზამთრის პირზე მოიტანეს საჭირო მასალები, თუმცა ბევრჯერ შეჩერდა სამუშაოები ყინვების და სხვა გარემოებების გამო. სამშენებლო კომპანია შ.პ.ს. „ჯავ-ამ“ რამდენიმე ეტაპად მუშახელიც შეცვალა საჭიროებისამებრ, ამ ეტაპზე 30-მდე ადამიანი ასრულებს სამშენებლო პროცესებს. ადგილზე მისვლისას ზედამხედველი, პასუხისმგებელი პირი დაგვხვდა – ბატონი **მუხრან კეკენაძე,** რომელმაც დეტალურად აგვიხსნა, რა და როგორ განთავსდება განახლებულ პარკში: სასიარულო ბილიკი თეთრი ფილებით დაიფარება. ეს რკინის კონსტრუქცია ღია სცენაა. აქ შესაძლებელი იქნება, ჩატარდეს სხვადასხვა ღონისძიებები. ყველაზე მთავარი ისაა, რომ გაზრდილია საბავშვო სივრცეები, დამონტაჟდება ატრაქციონები. გარდა ამისა, ამ კონკრეტულ ადგილას დაიგება იმიტირებული ჭადრაკის დაფა, შეკვეთილია რკინისა და ხის საზალე სკამები, ნაგვის ურნები, 142 ლამპიონი გაანათებს მთლიანად ბაღს. რამდენიმე რკინის კონსტრუქციისგან აწყობილი ჯიხური იქნება,



რომელსაც სავარაუდოდ კომერციულ ფართად გამოიყენებენ, გარშემო სილამაზისთვის არაერთი ყვავილნარით სავსე კოლბები დაიდგმევა სკამებით გარშემორტყმული, წყლის 5 ბიუვეტი დამონტაჟდება. ყოფილი კინოთეატრის შენობის მიმდებარედ გარედან შეიფუთა საპირფარეშო, იქვე იქნება ღია კაფეც, გათვალისწინებულია ფანჩატური, პერგოლები. მშენებლები ვარაუდობენ, ოქტომბრის ბოლოსთვის დაასრულონ სამუშაოები. დაახლოებით 4 მილიონამდე ლარი დაიხარჯება ამ პარკის კეთილმოწყობისათვის. ჯერჯერობით არ ვიცით, რა ბედი ეწევა აქ მყოფ მცირე აუზს. თუ გადაწყვიტეს „მოცეკვავე შადრევნების“, გაკეთება,მაშინ ეს ძველი სახე უნდა გადაკეთდეს და თავიდან აიწყოს სადენები, განათებები. გაუქმებით არ გაუქმდება. ვფიქრობთ, საბოლოოდ



საუკეთესო დასასვენებელი ადგილი შეემატება ბორჯომს.

**მონიკა დიოსკურელი**

# აქ სულ სხვანაირი სიცოცხლეა



**უნივერსიტეტში** სწავლის პერიოდში, მახსოვს, როდესაც გაიგებდნენ, რომ ბორჯომიდან ვიყავი, მაშინვე უამრავი კითხვის დასმას იწყებდნენ: – **მინერალური წყლების პარკთან ახლოს ხომ არ ვცხოვრობდი? მართლა ისეთი ლამაზია როგორც ამბობენ?** ამ და სხვა კითხვებით ამავსებდნენ ხოლმე. ჰოდა, მეც სიამაყით ვპასუხობდი და უდიდესი სიამოვნებითაც ვიფერებდი კიდეც ბორჯომელობას. სხვათა შორის, რატომაც არ უნდა შემეფერებინა? განა ტყუილი ხომ არაა, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი სახელგანთქმული მინერალური წყალი „ბორჯომი“ სწორედ აქ, ჩემ ლამაზ კოპწია ქალაქში მოიპოვება! ყველაზე საუკეთესო ჰაერიც ხომ სწორედ ჩვენ გვაქვს! რამდენი ნიჭიერი მხატვარი, მომღერალი, კომპოზიტორი თუ გამორჩეული ადამიანია ამ ლამაზი ქალაქიდან, სწორედ ჩვენდა საამაყოდ!

სადაც არ უნდა ვიმყოფებოდე და შემდეგ ბორჯომში ვბრუნდებო, სწორედ აქ მიწყებს გული სხვაგვარად ძგერას, აქ სულ სხვანაირი სიცოცხლეა, სხვაგვარად მიყვარს და სხვაგვარად ვაფასებ ყველაფერს. მიყვარს მისი თითოეული ქუჩა, შენობა, ადამიანები, რომელთაც წლებია ვიცნობ, ან სულაც არ ვიცნობ პირადად, მაგრამ ვიცი, რომ ერთ ქალაქში ვცხოვრობთ და ერთ ჰაერს ვსუნთქავთ, რომელიც მხოლოდ ჩვენია, მარტო თავისნაირი და გამორჩეული, ისეთი, როგორიც სხვაგან არსად არაა.

მინდა, ჩემ გამორჩეულ ბორჯომ ქალაქსა და ულამაზეს ბორჯომელებს მივულოცო ტრადიციული დღესასწაული. დაე, მთელი ცხოვრების მანძილზე ღირსეულად გვეტარებინოს ჩვენი დალოცვილი ქალაქის მადლი.

**სიყვარულით, გაზეთ „ბორჯომის“ ჟურნალისტი**
**ნატო მელიქიძე**

# სასიკეთო საქმეებით ვასახელოთ ქალაქი!

### საინტერესო ადამიანები

## ბორჯომი მისი დედულეთია

**ახლახანს, 6 სექტემბერს, ქართულმა საზოგადოებამ აღნიშნა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან საბჭოთა საქართველოს სამრეწველო მშენებლობის თვალსაჩინო წარმომადგენლის და ორგანიზატორის, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსის, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის, 18 სამეცნიერო ნაშრომისა და 7 წიგნის ავტორის, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის, ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატის ომარ მარგველაშვილის 80 წლისთავის იუბილე.**

ვინც რესპუბლიკურ პრესას სისტემატიურად კითხულობს (განსაკუთრებით „საქართველოს რესპუბლიკას“), მან კარგად იცის, თუ ვინ არის ომარ მარგველაშვილი, - გამოჩენილი პუბლიცისტი, უამრავი საინტერესო წერილების ავტორი, ამ წერილების მიხედვით: გულმხურვალე მამულიშვილი, მუდამ შემართული, მართლის მთქმელი პიროვნება.

წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მადნეულის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატს, ხელმძღვანელობდა უამრავ ტრესტს და სამმართველოს; სადაც ჩავარდნები იყო სამრეწველო მშენებლობის ობიექტებზე, ყველგან მას აგზავნიდნენ და **მალე მისი ორგანიზატორული ნიჭის და პრინციპული დისციპლინის** წყალობით ეს ობიექტები მოწინავე პოზიციებზე გადიოდნენ. მოუწია მუშაობა მშენებლობის მინისტრის ჯერ მოადგილედ, შემდეგ პირველ მოადგილედ სთავაზობდნენ, მაგრამ უარი თქვა საბჭოთა კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის მინისტრის მოადგილეობაზე, საბჭოთა კავშირის მშენბანკის თვმჯდომარის მოადგილეობაზე და ა.შ; მან საქართველოში მუშაობა არჩია, აქედან უფრო გამოვადგები ჩემს სამშობლოსო. გამოადგა კიდეც. მარტო ის რად ღირს, რომ მოსკოვთან „ურთიერთობის“ წყალობით მოახერხა ის, რომ 80-იან წლებში საქართველოში აიკრძალა ტყის სამრეწველო ჭრები და საკავშირო მთავრობის მიერ გამოყოფილი **ფონდები ციმბირში გადაამისამართა.** ამის შემდეგ **დაიძრნენ საქართველოსკენ** „ლისტვინიცით“ (ფიჭვის ერთ-ერთი გამძლე სახეობის) სავსე ვაგონები. ამით თუ რამდენი ფინანსური სარგებელი ნახა საქართველომ, მკითხველმა განსაჯოს!

ამჟამად მარგველაშვილების წარმატებული **ბიზნესია მეღვინეობა.** მისი ვაჟები - გიორგი და ზურაბი - უძღვებიან ცნობილ კომპანიას სს „თბილ ღვინოს“. კომპანიის პროდუქცია გადის 36 ქვეყანაში. საერთაშორისო კონკურსებში 2020 წელს კომპანიას ნაწარმმა 31 მედალი მოიპოვა, ხოლო 2021 წელს - 47 ჯილდო.

მე ბედნიერება მხვდა წილად, ვიყო მისი უმრწემესი (უმცროსი) მეგობარი. როგორ მოხდა ეს? 2017 წელს რესპუბლიკური გაზეთების **ფურცლებზე ჩავები პოლემიკაში ერთ-ერთ პიროვნებასთან. ჩემი წერილები** ბევრს მოეწონა და ტელეფონით მიკავშირდებოდნენ. ერთ-ერთი პირველი, ვინც გამომეხმაურა და კალამი შემიქო, იყო ბატონი ომარ მარგველაშვილი. თანაც სიხარულით დასძინა: **„ბორჯომი ჩემი დედულეთია, ბავშვობა და ახალგაზრდობა არდადეგებზე ბორჯომში და ბაკურიანში მაქვს გატარებულიო“.**

შემდეგ ჩვენი მეგობრობა გაღრმავდა. მაჩუქა თავისი ორი **სქელტანიანი წიგნი.** ეს წიგნები ქართული პუბლიცისტიკის ოქროს ფონდშია შესული. ერთ-ერთი წიგნის „როცა უკან მიხედვის არ გეშინია!“ **წინასიტყვაობაში ცნობილი კრიტიკოსი გურამ ბენაშვილი** წერს, რომ ბატონ ომარს **აქვს „ფენომენალური მეხსიერება“,** ხოლო ასევე ცნობილი ჟურნალისტი **დავით მხეიძე** აღნიშნავს, რომ ამ წიგნმა მას ღამეები გაათენებინა.



ბატონ ომარს მე, რასაკვირველია, ტელეფონით მივულოცე 80 წლისთავის იუბილე და ვუსურვე 100 წელიც გადაელახოს. გადალახავს კიდეც! - ისეთი მხნეობით სავსე და სპორტული წარსულის მქონეა: **აკადემიურ ნიჩბოსნობაში საქართველოს სამგზის ჩემპიონია**!



ბატონი ომარი თავის დედაზე ქალბატონ **თამარ კობახიძეზე** წერს: „დედაჩემი კობახიძის ქალი იყო, წარმოშობით რაჭიდან - ნიკორწმინდიდან, მაგრამ ბორჯომში დაიბადა და გაიზარდა. ის რაჭაში ნამყოფი არ იყო და პირველად მე ჩავიყვანე. მის სიხარულს და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, განსაკუთრებით ნიკორწმინდის ტაძრის ხილვისას - აღფრთოვანებულმა ირგვლივ ლოცვითა და პირჯვრის წერით სამჯერ შემოუარა და კედლებს ეამბორა“.

ახლა კი ომარ მარგველაშვილის წიგნიდან **„როცა უკან მოხედვის არ გეშინია!“** გთავაზობთ ნაწყვეტს ჟურნალისტური ნოველიდან **„დედის გმირობა“.**

„მამა ნაღდი ვაჟკაცი იყო - მაღალი, აღნაგი, პირხმელი, ფიზიკურად სრულყოფილი და ძლიერი. დედა ჭაბუკობაში გაუცვნია და მთელი არსებით შეყვარებიათ ერთმანეთი. ამასობაში ომი დაიწყო. მამა ისე გაიწვიეს, დაქორწინება ვერ მოასწრეს. ქერჩში ბრძოლების დროს იგი მძიმედ დაიჭრა და ფეხი მუხლს ქვეშ მოკვეთეს. ჭრილობა გაუმიზეზდა, ამიტომ საფუძვლიანი მკურნალობისთვის სამშობლოში გამოისტუმრეს, რადგან შეიძლება ჭრილობა სიცოცხლის ფასად დაჯდომოდა. „არამიანცში“ დააწვინეს, რომელიც ომის დროს სამხედრო ჰოსპიტალი იყო. როგორც კი დედამ ეს ამბავი შეიტყო, ყველაფერი მიატოვა და მაშინვე ჰოსპიტალს მიაშურა - მამას თავზე დაადგა. ის იყო მისი მომვლელიც, ექთანიც, ექიმიც და ნუგეშისმცემელიც. მამა ხედავდა საყვარელი ადამიანის ამ თავდადებას, მაგრამ გულში სულ სხვა ცეცხლი უტრიალებდა: ეგონა, ამას მხოლოდ სიბრალულის გამო ჩადიოდა. ვერა და ვერ დაეჯერებინა, რომ ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ლამაზი ქალი, რომელსაც ვინ იცის, მომავალში რა ბედი ელოდა, ბოლომდე უერთგულებდა და ცოლად გაჰყვებოდა მას - ხეიბარს, ვისი სიცოცხლეც ჯერაც ბეწვზე ეკიდა და მომავალიც ბურუსით იყო მოცული., ეტყობა, ამის თაობაზე არაერთხელ უსაუბრიათ და უკამათიათ. რადგან თავის გულწრფელობასა და გადაწყვეტილების სიმტკიცეში საქმრო ვერ დაარწმუნა, ახალგაზრდა ქალს ბევრი აღარ უფიქრია, ჰოსპიტალში მიუყვანია მმაჩის ბიუროს თანამშრომელი და... ქორწინება ოფიციალურად გაუფორმებია. ამ ნაბიჯის გადადგმა დედას არასოდეს უნანია. ლამაზი, განათლებული ახალგაზრდა სტუდენტი დიპლომანტის მხრიდან ეს **მართლაც გმირობის ტოლფასი იყო.** დედამ, სპეციალობით მეტყევე ინჟინერმა, სამი ვაჟი გაგვზარდა. მამაც და ჩვენც - შვილებიც, ჯეროვნად ვაფასებდით მის ამ ზნეკეთილ ნაბიჯს - დღეს იქნებ ბევრისთვის ძნელად ასახსნელს... მათ დიდხანს და ბედნიერად იცხოვრეს.

**P.S. ნამდვილად უპიანი და სამართლიან იქნება, თუ სამშობლოს წინაშე ესოდენ ღვაწლმოსილ პიროვნებას და დედულეთით ბორჯომელს მიენიჭება (მომავალში) ბორჯომის საპატიო მოქალაქეობა**!

**უშანგი ჯანგირაშვილი**

## ისტორიული თარიღები

**1810 წლის დეკემბერში გენერალ ტორმასოვის და გენერალ ლეიტენანტ თამაზ ორბელიანის ჯარისკაცებმა პირველებმა აღმოაჩინეს ბორჯომის მინერალური წყალი.**

**1819 წელს სახელწოდება „ბორჯომის ხეობა“ პირველად მოიხსენიება ისტორიულ დოკუმენტებში.**

**1825 წელს ბორჯომის სახელი გავრცელდა ნუას დასახლებაზე და მინერალურ წყალზე.**

**1842 წელს დაფუძნდა** ბორჯომი, როგორც საკურორტო ადგილი.

**1853 წელს** ბორჯომს მიენიჭა დაბის სახელწოდება.

**1918 წლის** მეორე ნახევარში ბორჯომი გამოცხადდა ქალაქად.

**1921 წლის** 20 მაისს ბორჯომი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კურორტად გამოცხადდა.

**1986 წლისათვის** ბორჯომის საკურორტო რეგიონში ითვლებოდა 10 კურორტი: მათგან ერთი საკავშირო კატეგორიის (ქ. ბორჯომი) 5 რესპუბლიკური და 4 ადგილობრივი.

**2007 წლის** მდგომარეობით ბორჯომის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედიოდა ერთი საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტები, აგრეთვე საკურორტო ადგილები.

**ბორჯომი -** მინერალური წყლების ბალნეოლოგიური საერთაშორისო კურორტი; **ბაკურიანი** სამთო-სათხილამურო კურორტი;

**ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტები: წაღვერი, ახალდაბა, ჩითახევი, ლიბანი, ცემი, საკურორტო ადგილები: პატარა ცემი, ტბა, ციხისჯვარი, ლიკანი, ტიმოთესუბანი, სადგერი, დაბაძველი, მზეთამზე, დაბა, ახალი უბანი.**

### წარსული ყველამ უნდა ვიცოდეთ

## როდის მიენიჭა ბორჯომს ქალაქის სტატუსი

**ჯერ კიდევ** XIX საუკუნის 70-იან წლებში კურორტის ზრდასთან და მის კეთილმოწყობასთან დაკავშირებით წამოჭრილა საკითხი ბორჯომისათვის ქალაქის სახელწოდების მინიჭების შესახებ. 1876 წლის 26 მარტის გაფართოებულ სხდომაზე მიზანშეუწონლად მიუჩნევიათ დაბა ბორჯომისათვის ქალაქის სახელწოდების მინიჭება, მაგრამ წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების უქონლობის გამო ქალაქის სტატუსი არ მიუნიჭებიათ (ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 1287, ოპ-38, საქმე 1779).

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა კვლავ გაგრძელებულა - კავკასიის მეფისნაცვლის მ. რომანოვის ინიციატივით, რომელსაც 1880 წლის 3 მარტს (№208) წერილით მიუმართავს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსათვის დაბა ბორჯომისათვის ქალაქის სახელწოდების მინიჭების შესახებ. იმავე წლის 29 ნოემბერს (№736) რუსეთის სახელმწიფოს სათათბიროს საპასუხო წერილში მითითებულია:

1. აღნიშნული პერიოდისათვის დაბა ბორჯომის მოსახლეობა შეადგენდა 108 მობინადრეს. მათ შორის მუდმივ მაცხოვრებლად ითვლებოდა 35 ოჯახი, ხოლო 36 ოჯახი დროებით მაცხოვრებლად. მობინადრეები არავითარ გადასახადებს არ იხდიან და არც მონაწილეობენ კურორტის კეთილმოწყობის საქმიანობაში. ამგვარად, ქალაქის საშტატო ერთეულების დაფინანსებაში მათი როლი დაკნინებულია.

2. ბორჯომის მამულის შემოსავლით ქალაქის მმართველობის ხარჯების დაკმაყოფილება შეუძლებელია, იმ დიდ მასშტაბის მშენებლობებისათვის, რაც ქალაქს ესაჭიროება.



ამავე პერიოდში დაწყებულია ჩამომსხმელი და შუშის ქარხნების მშენებლობები, რომელთა დაფინანსება დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

ამრიგად, ბორჯომის მამულის შემოსავლით დაბა ბორჯომისათვის ქალაქის სახელწოდების მინიჭება შეუძლებელი ხდება.

3. რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ თბილისის გუბერნატორს შესთავაზა ვარიანტი, დაბა ბორჯომისთვის მიენიჭებინათ შტატგარეშე ქალაქის სახელწოდება. შეადგინეს საშტატო შტატგარეშე განაკვეთები, რომლებიც ითვალისწინებდა ბორჯომის პოლიციის ბოქაულის (პრისტავის) თანამდებობას, წელიწადში 2655 მანეთის დაფინანსებით, იმ პირობით, თუ დათანხმდებოდა ქალაქ გორის მაზრის პოლიციის ხელმძღვანელობა საშტატო განაკვეთების შემცირებას.

შტატგარეშე ქალაქის სახელწოდება და ბოქაულის მმართველობა დიდ პრივილეგიას არ წარმოადგენდა, ამიტომაც მესამე ვარიანტიც განუხორციელებელი დარჩა.

დაბა ბორჯომისათვის ქალაქის სახლწოდების მინიჭება დღის წესრიგში დადგა, კურორტ ბორჯომისათვის სანიტარიული ზონების დამტკიცებასთან დაკავშირებით.

1917 წლის 13 აგვისტოს რუსეთის დროებით მთავრობას განუხილავს და დაუმტკიცებია შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი ექიმის კაპუსტინის მიერ შედგენილი კურორტ ბორჯომის სანიტარიული ზონების პროექტი, რომელშიც დეტალურად იყო აღწერილი საკურორტო დასახლებები. არც ამ პროექტით მიენიჭა ბორჯომს ქალაქის სახელი.

ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია, რომ დაბა ბორჯომს ქალაქის სახელწოდება მინიჭებული აქვს 1918 წლის მეორე ნახევარში საქართველოს დროებითი მთავრობის მიერ, თუმცა ზუსტი თარილი არაა მითითებული.

1918 წლის 7 მარტს ბორჯომის რომანოვების მამული გადაეცა მიწათმოქმედების სამინისტროს ბორჯომის მამულის მმართველად 1918 წლის 20 სექტემბერს დამტკიცდა გიორგი ხუნდაძე. ბორჯომი მოექცა ორ ხელისუფლებიანობას შორის - რომანოვების მამულის მმართველობასა და ქალაქის თვითმმართველობას შორის, რომელთა დავა რამდენიმე წელს გაგრძელდა და უშედეგოდ დამთავრდა. ქალაქის თვითმმართველობა ცდილობდა საკუთარი შემოსავლებით გაეზარდა თავისი ბიუჯეტი.

ზემოაღნიშნული მასალების გაანალიზებით უნდა ვივარაუდოთ, რომ დაბა ბორჯომისათვის ქალაქის სახელწოდების მინიჭება 1918 წლის მეორე ნახევარში იმავე წლის აგვისტო-სექტემბერს მიეკუთვნება.

**ვალერიან ლომიძე**

### დამსვენებლის შთაბეჭდილება

## 35 წლის შემდეგ

**გასული** საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს პროფკავშირების საგზური დავიმსახურე და ბორჯომში სანატორიუმ „მთის ხეობაში“ ჩამოვედი დასასვენებლად. ნოემბერი იყო. 500-ადგილიან სანატორიუმში საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან იყვნენ ჩამოსული დამსვენებლები. სასადილო პირველ სართულზე, მთავარი კორპუსიდან ოდნავ ახლოს გამოყოფილ შენობაში მდებარეობდა. ვახშმის შემდეგ მაგიდებს და სკამებს გვერდზე მიაწყობდნენ და თითქმის ყოველ საღამოს იმართებოდა ევროპული ცეკვები. სამკურნალო პროცედურების მისაღებად ისტორიული პარკის წინ არსებულ სამკურნალო დაწესებულებაში დავდიოდით. ჩვენთვის უფასო იყო (საგზურის ღირებულებაში შედიოდა) აბაზანების მიღება, კუჭ-ნაწლავის გამორეცხვები. ყველას განსაზღვრულ საათებში და წუთებში უნდა მიეღო ეს სამკურნალო პროცედურები. ახლა რომ ჩამოვედი, გაოცებული დავრჩი, უზარმაზარი სასტუმრო არის ამ ადგილზე აღმართული. გავიკითხე, ახლაც თუ არის შესაძლებელი სამკურნალო პროცედურების ჩატარება-მეთქი? მითხრეს, რომ არის და ძალიან ძვირი ღირსო - (ერთი საათი - 200-300 ლარი). ისტორიული პარკის წინ, 9 აპრილის ქუჩაზე სად ნახავდით სავაჭრო ფარდულებს. ახლა კი ტროტუარზე მთელი ბაზარია გამწკრივებული. მაშინ პანსიონატ „ფირუზას“ ორივე კორპუსი ფუნქციონირებდა და გვეპატიჟებოდნენ კულტურულ ღონისძიებებზე.

„ფირუზას“ გვერდზე მშვენიერი სასტუმრო იდგა. ის კი არ უნდა დაენგრიათ, ზედ დამატებითი სართულები უნდა დაედგათ. ახლა ეს ადგილი მოშიშვლებულია. ალბათ სხვა სასტუმროს წამოჭიმავენ. მაშინ ცხრა სართულიანი ადმინისტრაციული შენობა მთელი ძალით ფუნქციონირებდა. როგორ შეიძლებოდა მისი დაცლა და სხვა ადგილზე გადატანა? მართალია, ადმინისტრაციული სამსახურები ძველი ბაზრის მეორე სართულზე გადაუტანიათ და თანამედროვე შენობაც არის, მაგრამ იმ ვიღაც „ბიზნესმენს“ თვითონ უნდა აეთვისებინა ეს ტერიტორია.

ყველაზე მეტად გამაოცა ორმა რამემ: მაშინ ლიკანში, ე.წ. IV სამმართველოს ადგილზე თავისუფლად შეიძლებოდა შესვლა და რომანოვების სასახლის დათვალიერება. ახლა კი სასახლის დასათვალიერებლად არ შეგვიშვეს. არადა, რამდენ ტურისტს უნდა ალბათ მისი დათვალიერება და იქიდან შემოსავალი რაიონისთვისაც მნიშვნელოვანი იქნებოდა.

მეორე გაოცება ის არის, რომ არ მუშაობს ბორჯომ-ბაკურიანის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა. მაშინ დამსვენებელთა ერთმა ჯგუფმა გავისეირნეთ „კუკუშკათი“ და ზღაპრული ადგილები დავათვალიერეთ. ალბათ ასეთი ძნელი რელიეფის რკინიგზა და ასეთი ლამაზი ადგილები მსოფლიოში მეორე არ იქნება. მისი გამოყენება აუცილებელია.

კომფორტულად მოწყობილია გოგირდის აბანოები, იქამდე მისასვლელ გზას შეკეთება ესაჭიროება.

მაშინ ბორჯომში ამდენი წვრილ-წვრილი ქუჩები მოასფალტებული არ იყო. ახლა კი ასფალტი ყველგან დაუგიათ. არც ამდენი მგზავრთა მოსაცდელები იყო. რაც იყო, კრიტიკას ვერ უძლებდა, ახლა კი ყველგან კომფორტული მოსაცდელებია მოწყობილი.



მე თითქმის ორი ათეული წელი საფრანგეთის ერთ-ერთ პატარა ქალაქში ვიცხოვრე შვილთან და იქაურ რძალთან ერთად. იქ ვერსად ნახავთ გაზის მილებით ასე დასერილ-დახლართულ ქუჩებს, მით უმეტეს, ჟანგიან მილებს. ეს მილები და აღრიცხვის კოლოფები **სათანადო უწყებამ უნდა შეღებოს და მაშინ პატარა ქუჩები სხვა სილამაზით გამოჩნდებიან.** ასევე ითქმის მოძველებული ტელეფონის ბოძებზე, რომლებიც თითქმის ყველა შესაცვლელია.

„მთის ხეობის“ სიახლოვეს იდგა მინწყლების ბიუვეტი, სადაც დამსვენებლები ჩამოვდიოდით და მინწყალს („ბორჯომს“) ვსვამდით. ახლა ეს ბიუვეტი გაპარტახებულია და მინერალური წყალიც აღარ მოდის. სად დაიკარგა ეს მინერალური სამკურნალო წყალი?

**ვამეხ ცისკარაული,**
**ახმეტის რ-ნი, ალვანი**

# ᲐᲦᲕᲣᲓᲒᲘᲜᲝᲗ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲑᲐᲚᲜᲔᲝᲙᲣᲠᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ!

## კიდევ ერთხელ ბორჯომის სახელწოდების შესახებ

**დღევანდელი** ბორჯომის ხეობა XVII საუკუნემდე სამი ხეობისგან შედგებოდა. სახელდობრ: მტკვრის ხეობა - ტაშისკრიდან სლესის ციხემდე, სადგერის ხეობა - სადგერი-ბაკურიანი-ციხისჯვარი და გუჯარულას ანუ გუჯარეთის ხეობა. ბორჯომის ხეობის სახელი სამივე ხეობაზე საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გავრცელდა.

დღეს არავინ დავობს იმის შესახებ, რომ სახელწოდება „ბორჯომი“ ჩვენს ხეობაში გაჩნდა XVIII საუკუნის I ნახევარში. თითქმის ყველა მკვლევარი იზიარებს იმ ვარაუდს, რომ ახალციხის რაიონის ურაველის ხეობაში არსებული ხუთკომლიანი სოფელ „ბორჯომის“ მცხოვრებნი, თურქთაგან შევიწროების გამო გამოიქცნენ იქიდან და დასახლებულან. აქ უკვე გაუგებრობაა, თუ სად, ვერცერთი მკვლევარი ვერ ასაბუთებს... ფაქტი ერთია, ლტოლვილები ხომ სადღაც დასახლდნენ?!



ცნობილ გეოგრაფს ვახუშტი ბაგრატიონს თავის „გეოგრაფიაში“ და ატლასებში დღევანდელი ბორჯომის ადგილზე ბორჯომის სახელით რაიმე დასახლებული პუნქტი მოხსენიებული არ აქვს, სავარაუდოა ის ფაქტი, რომ XVIII საუკუნის 40-იან წლებში, როდესაც ვახუშტიმ თავისი ნაშრომი დაწერა ბორჯომის სახელი ტაშისკართან არსებულ საყარაულო კოშკს ჯერ არ ქონდა დარქმეული.

ქართლიდან ხეობაში შემოსასვლელ ვიწროებში, იქ სადაც ბორჯომ-ხაშურის რკინიგზის ხაზს ზემოდან გადაუდის საავტომობილო გზა, ტაშისკრის მებატონე აბაშიძეებს ჰქონიათ მცირე ზომის საყარაულო ქვის კოშკი, სადაც მასში მორიგეობით იდგა ქართველთა შეიარაღებული რაზმი, რომელიც ასრულებდა, როგორც საბაჟოს, ისე მცირე მარბიელი რაზმების მოვალეობას. ამ კოშკში, რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ ქართველებთან ერთად რუსი სამხედროებიც ჩაუყენებიათ.

საიდან მოვიდა სიტყვა „ბორჯომი“? პასუხი ლოგიკურად ასეთია: რაიმე გეოგრაფიული ადგილის, ან მოვლენის აღნიშვნა ხდება ყველაზე ახლო მდებარე დასახლებული პუნქტის სახელწოდების მიხედვით. იმ დროს სოფელ ტაშისკარი მდებარეობდა სურამის ქედის განშტოების ძირში, მანძილი იმ ადგილიდან კოშკამდე 2.5-3 კილომეტრია. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, „ბორჯომის“ ლტოლვილი მოსახლეობა უნდა დასახლებულიყო ტაშისკრის მიმდებარე ტერიტორიაზე. ეს აზრი მცდარია იმ ელემენტარული ლოგიკის გამო, რომ ტაშისკრის გოროზი თავადები - აბაშიძეები თავიანთ რომელიმე ტერიტორიას ლტოლვილი მოსახლეობის სოფლის სახელს არ დაარქმევდნენ...

როგორც ისტორიული წყაროებით დგინდება XVIII საუკუნის II ნახევარში დღევანდელი ახალდაბა თითქმის მთლიანად დაცლილი იყო მოსახლეობისგან. სავარაუდოა, რომ „ბორჯომის“ ლტოლვილი მოსახლეობა დასახლდა ახალდაბის გასასვლელში, იქ სადაც ამჟამად ბლიაძეების ხუთშვიდი კომლიანი დასახლებაა. მაშინ ახალდაბის სანახები ნადირფრინველის თავშესაფარს წარმოადგენდა. ალბათ ლტოლვილებმა თავიანთი სოფლის „ბორჯომის“ სახელი ამ ახალ დასახლებას უწოდეს. აქედან კოშკამდე მანძილი დაახლოებით 200-250 მეტრია. მდინარე მტკვრის მარცხენა მხარეს იყო და არის „სარმანიშვილის კარი“, რომელიც ზემოთ აღნიშნულ უბნიდან გაცილებით შორსაა. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ 1772 წელს ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა ე. გიულდენშტედტმა იმოგზაურა მტკვრის ხეობაში და აღწერა. აი რას წერს: - **სურამიდან ზევით (მტკვრის მარჯვენა მხარეს) მდებარეობს ბორჯომი. ახალდაბა (ციხე), ქიმერეთი, ნეძვი, კორტანეთი, ზანავი, ყვიბისი, თორი, ეშმაკთუბანი, ქალა, ნუა, ფაფა, ლიკანი, ყვერბელი, პეტრეს ციხე, ჭობისხევი, ყველა ეს სოფლები განადგურებულია და ამასთან ქმნიან საზღვარს საქართველოსა და თურქეთს შორის.**

როგორც ჩანს „ბორჯომის“ სახელი ტაშისკრის საყარაულო კოშკს დაერქვა XIX საუკუნის დასაწყისში. ეს სახელი გადმოტანილია სამცხედან. კერძოდ, ახალციხის ლივაში სოფელ ანდრიაწმინდასთან არსებობდა 5 კომლიანი სოფელი „ბორჯომი“, ვახუშტი „ბორჯომს“ ამ ადგილზე მოიხსენიებს. როგორც ჩანს, სამცხეში ოსმალებისგან შევიწროებული და დევნილი მოსახლეობა ტაშისკრის მიდამოებში გადმოვიდა საცხოვრებლად და თავიანთი სოფლის სახელიც გადმოიტანეს და საყარაულო კოშკს და სოფელს „ბორჯომი“ უწოდეს. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ რუსებმა 1807 წელს ტაშისკართან „ბლოკჰაუსი“ შექმნეს და მას „ბორჯომის ბლოკჰაუსი“ უწოდეს, აქ იდგა ქართული მილიციის ნაწილი და იცავდა ქართლის საზღვარს ოსმალეთთან. ამ პერიოდში მტკვრის ხეობა ნეიტრალურ ზონას წარმოადგენდა და ფაქტიურად, უკაცრიელი იყო. იმხანად ბორჯომის ხეობას „მტკვრის ხეობა“ ერქვა. რუსებისთვის ძნელად გამოსათქმელი. ამ სიტყვას „ბორჯომის“ სახელი ამჯობინეს და მისი სახელიც გავრცელდა მთელ ხეობაზე და მინერალურ წყალზე.

სახელწოდება ,ბორჯომის ხეობა“ წერილობით წყაროებში პირველად 1819 წელს გვხვდება, ავალიშვილების მიერ ხელისუფლების წარმომადგენლებისადმი გაგზავნილ წერილში, რომლებიც ბრეთიდან თავიანთი ყმა-გლეხების ბორჯომის ხეობაში ნასოფლარ სადგერში დაბრუნებას ითხოვენ.

როგორც ჩანს 1807 წლიდან 1819 წლამდე მტკვრის ხეობის სახელი გამოიცვალა და „ბორჯომის ხეობა“ დაერქვა.

სიტყვა „ბორჯომის“ ეტიმოლოგიას მეცნიერები სხვადასხვანაირად განმარტავენ, მაგრამ საბოლოოდ ეს საკითხი გადაჭრილი საბოლოოდ დღემდე არაა. ხალხური განმარტებით იგი ორი ნაწილისგან შედგება „ბორჯი“ და „ომი“, რაც ომების ბურჯს ნიშნავს.

ზოგიერთების აზრით „ბორჯი“ - თურქულად „ველს“ ნიშნავს, ე.ი. ომის ველი, მისი მეორე ნაწილი ,ომი“ ქართული სახელების დამახასიათებელ დაბოლოებას წარმოადგენს (დიღომი, თორთომი, წრომი, გომი, ბათომი და ა.შ.). „ბორჯი“ ქართული სიტყვაა, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ფესვს ნიშნავს. „ბორჯომი“ დაბოლოებით ძირეული ნაწილით და შინაარსით დაკავშირებულია ფესვის გადგმასთან და ერთ ადგილზე დიდხანს დარჩენასთან.

**ᲐᲚᲒᲘ ᲚᲝᲛᲘᲫᲔ,**
**მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი**

## როგორი იყო საკურორტო სეზონი ბორჯომში XIX საუკუნის ბოლოს?

**სანქტ-პეტერბურგის** სახელმწიფო არქივში დაცულ საინტერესო დოკუმენტებს შორის ყურადღებას იპყრობს ბორჯომის მინერალური წყლების მთავარი ექიმების გეიდემანის, ვიხოდცევის და სხვათა ანგარიშები საკურორტო სეზონის მიმდინარეობის და ჩატარების შესახებ.

როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, კურორტის ექიმები საკურორტო სეზონის დამთავრების შემდეგ ადგენენ წლიურ ანგარიშებს. რომლებშიც დაწვრილებით იყო აღწერილი მისი მიმდინარეობა საკურორტო სეზონში, ამასთან მიუთითებდნენ ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებზე და მოუგვარებელ საკითხებზე. მკითხველებს ვთავაზობთ დაახლოებით 138 წლის წინანდელი საკურორტო სეზონის ჩატარების მოკლე შინაარსს.

1884 წლის საკურორტო სეზონი 7 ივნისიდან 10 სექტემბრამდე გაგრძელებულა. ე.ი. 86 დღე და 7 დღით მოკლე ყოფილა 1883 წელთან შედარებით მოაგარაკეები ადრე წასულან. დამსვენებელთა შორის მრავლად ყოფილან თბილისის, ქუთაისის, ბათუმის და ბაქოს მცხოვრებლები. საკურორტო სეზონზე მინერალური წყლის აბაზანები 5-დან 29 ივლისამდე გაგრძელებულა და უამინდობის გამო შემდეგ ფუნქციონირება შეუწყვეტიათ. საინტერესოა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ რევოლუციამდე კურორტი ძირითადად სამეურნეო ანგარიშზე მუშაობდა და ავადმყოფთა მკურნალობა ფასიანი ყოფილა. თუ 1884 წელს საკურორტო სეზონი 86 დღეს გრძელდებოდა და 142,15 მანეთის მინერალური წყალი გაყიდულა, 1875 წელს საკურორტო სეზონი 109 დღეს გაგრძელდა და 69,10 მანეთის მინწყალი გაყიდულა. 1878 წელს შესაბამისად 101 დღე და 105,60 მანეთის, ხოლო 1881 წელს 105 დღე გაგრძელებულა და ა.შ.

1884 წელს ბორჯომში 388 ავადმყოფს უმკურნალია, აქედან ფასიანი ყოფილა 233. უფასო 155 საგზური, მათ შორის 116 ავადმყოფი სამხედრო პირი იყო, 1881 წელს იმკურნალა 544 ავადმყოფმა, 1882 წელს - 453, 1883 წელს კი 405 ავადმყოფმა. საინტერესოა მკურნალობის შედეგებიც. 303 ავადმყოფისგან 94 გამოჯანმრთელდა, 118-ს იგრძნო მდგომარეობის გაუმჯობესება, 35-ის მდგომარეობა უცვლელი დარჩენილა, ხოლო 56 ავადმყოფის მკურნალობის შედეგი უცნობია.

თითქმის 138 წლის წინათ (1884 წელს) ბორჯომში ორი აბაზანა ყოფილა (ევგენის და ეკატერინეს) და საკურორტო სეზონზე ავადმყოფებს 4354 აბაზანა მიუღიათ რაშიც კურორტის მმართველობას 1677, 35 მანეთი აუღიათ. ამ წელს ეკატერინეს წყალი 157 ბოთლი გაიყიდა (23,55 მანეთს. ევგენის წყალი 76 ბოთლი გაყიდულა, წაღვერის წყალი 648 ბოთლი ყოფილა რეალიზებული. კურორტზე სულ გაუყიდიათ 254 ბოთლი და მიუღიათ 1212 მანეთის შემოსავალი, ცეკვების ბილეთებიდან 20, ხოლო სამკითხველოდან 235,60 მანეთი აუღიათ. სულ მთელი წლის მანძილზე 5882,92 მანეთი შემოსავალი მიუღიათ.



ადგილობრივი მინერალური წყლების გარდა ბორჯომში იყიდებოდა ესენტუკის, მარდენბადხის, კარლსბადის მინერალური წყლები, ზღვის მარილი და სხვა. როგორც დოკუმენტებიდან ჩანს საერთო შემოსავალი შემცირა ამიერკავკასიაში იმჟამად არსებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა.(როგორც ცნობილია ამიერკავკასიაში XIX საუკუნის 80-იან წლებში შეიმჩნეოდა სამრეწველო კაპიტალიზმის ჩასახვა და კრიზისიც მან გამოიწვია).

საინტერესოა ისიც ითქვას, რომ იმ წლებში ბევრი მოაგარაკე უკან გაბრუნებულა სასტუმროებში თავისუფალი ადგილების უქონლობის გამო, სამუშაოები არც ვაჭარ-ხელოსნებს ჰქონიათ.

ივნისის დასასრულს დოქტორი გეიდმანი აყენებს წინადადებას „სტარი კავალერიის“ სასტუმროს (ყოფილი ბალნეო სამკურნალოს შენობა), დააშენონ მეორე სართული, ააშენონ ახალი საგარაკო სახლები, სასმელი წყლის ნაკლებობა ბორჯომში მაშინაც მწვავედ იგრძნობოდა. ამიტომ კურორტის მთავარი ექიმი ითხოვს მამულის ხელმძღვანელობისგან სადგერის წყაროს გამოყვანას, ამასთან ითხოვს სადგერის პლატოზე აშენდეს საგარაკო სახლი, რომელიც ამ მიდამოებს უფრო ხალხმრავალს გახდის და დაამშვენებს ტერიტორიასო.

ცნობილი პროფესორების დახასიათებით ბორჯომი დასავლეთ ევროპის კურორტებს გავს, მაგრამ კეთილმოუწყობელია, ცოტაა სასეირნო ადგილები, არ იგრძნობა სისუფთავე. იგი ჩრდილოეთ კავკასიის კურორტებსაც კი ჩამორჩება თავისი კეთილმოწყობით.

მინერალური წყლების გამგე აყენებდა წინადადებას აბაზანებში დადგმულიყო ფილტრები, რადგან წვიმის დროს მინერალური წყალი იმღვრეოდა. 1877 წელს ეკატერინეს წყაროზე დაუდგამთ ინგლისიდან ჩამოტანილი აბაზანა, მთავარი ექიმი მიზანშეწონილად თვლიდა ასეთივე აბაზანები დამონტაჟებულიყო, ითხოვდა ბაღში დამატებით სკამებს. ქუჩების კეთილმოწყობას.

ბორჯომში წლით წლობით მაღლდებოდა მოაგარაკეთა მომსახურების დონე, კურორტი პოპულარობას იხვეჭდა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ 1886 წლიდან 1987 წლებში მოაგარაკენი 1193 კაცი, 627 ქალი ყოფილა. მკურნალობა გაუწიეს 1880 ავადმყოფს სამკურნალოში სულ დასახელებულია 56 დაავადება, ნაწლავების ქრონიკული კატარით დაავადებული იყო 245 კაცი და 194 ქალი. სულ სამკურნალოში ავადმყოფებმა 4615 კაცდღე გაატარეს, ავადმყოფების მკურნალობაზე დახარჯულა 4357,42 მანეთი.

იმ წელს მამულში 30 სოფელია დასახელებული. ძირითად დაავადებად მითითებულია ციება. ამ დაავადებით იმკურნალა 1301 კაცმა. მათ შორის ბორჯომშ 398, ყვიბისიდან დაავადებული იყო 14, სადგერში -4, ცემში - 5, ჭობისხევში - 8, კორტანეთში - 2, ბერისსაყდრებში 3.

ავადმყოფთა უმრავლესობა ქართველები არიან. მაგალითად, აპრილში მკურნალობაზე მყოფ 203 ავადმყოფიდან სამია სომეხი, რამდენიმეა რუსი.

1887 წელს ციებით დაავადებული ყოფილა 340 კაცი, სამკურნალოში თარჯიმანიც კი ყოლიათ.

## ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲔᲐ

**ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲬᲧᲐᲚᲛᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲧᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲐ. ᲛᲘᲜᲬᲧᲐᲚᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲔᲑᲖᲔ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲛᲔ ᲐᲦᲘᲜᲘᲨᲜᲐ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲗ: 1907 ᲬᲔᲚᲡ Ქ. ᲡᲞᲐᲨᲘ (ᲑᲔᲚᲒᲘᲐ) ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲘ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲐ (ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲘᲖᲘ);**

**1909 წელს** ქ. ყაზანში ოქროს დიდი მედალი დაიმსახურა.

**1911 წელს** დრეზდენში (გერმანია) კვლავ საპატიო დიპლომით დაჯილდოვდა;

**1940 წელს** ტალინში ოქროს მედალი მოიპოვა;

**1960 წელს** სსრკ-ს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილებით ბორჯომის მინერალურმა წყალმა საპატიო დიპლომი დაიმსახურა;

**1975 წელს** ქარხნის კოლექტივი შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა;

**1975 წელს** უნგრეთში კვლავ საპატიო დიპლომი დაიმსახურა;

**1996 წელს** მოსკოვში „ინტედრინკ-95“ გამოფენაზე ფირმა „ბიგმა“ მოიპოვა პირველი ადგილი;

**1997 წელს** მოსკოვში „ინტერექსპო-97“ გამოფენაზე „ბიგმა“ დაიმსახურა - ოქროს მედალი.

**1997 წელს** ალმაატაში ფირმა „ბიგმა“ დაიმსახურა დიპლომი. 1997 წელს ლენინგრადში ოქროს მედალი მოიპოვა.

## შენი სიყვარულით არასდროს დავიღლები



**„ᲑᲝᲠᲯᲝᲛ-ᲥᲐᲚᲐᲥᲝᲑᲐ“ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲥᲛᲐᲐ. ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘ ᲡᲐᲛᲐᲓᲚᲝᲑᲔᲚᲘᲐ, ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲐᲓᲛᲘ.**

**ᲩᲔᲛᲘ ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ ᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲛᲘᲣᲚᲝᲪᲝᲜ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲐ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ, ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ.**

აქ ყველაფერი ახლოა მზესთან,
ცა, მწვერვალები, ნატვრა, გულისხმა,
შენ საქართველოს სუნთქვა თან დაგაქვს,
მზისიერი და ისევ ჩემი ხარ.

**ᲐᲡᲔ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲨᲔᲜᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲘ ᲩᲔᲛᲨᲘ... ᲛᲔᲪ ᲛᲔᲡᲛᲘᲡ ᲨᲔᲜᲘ ᲮᲛᲐ, „ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲣᲚᲐᲡ“ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲣᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲘ ᲮᲝᲚᲛᲔ, ᲬᲕᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲘᲡᲛᲔᲜ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲐᲡ ᲛᲛᲐᲢᲔᲑ, ᲛᲝᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲙᲘ ᲚᲔᲥᲡᲐᲓ ᲘᲥᲪᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲮᲐᲠ.**

მრავალჟამიერ ეგუგუნოს შენს სახელს ამ სამყაროში..
მიყვარხარ ბორჯომო
და მეც ბორჯომელი,
ჩემი ხეობის ნაწილი ვარ!
სიყვარულს შელამაზება
არ სჭირდება..
მხოლოდ გაფრთხილება უნდა.

ჩემო ბურჯო, ფესვო მაგარო,
შენ ხარ ბორჯღალი,
ჩუქურთმაში ამომავალი,
სიყვარული ხარ,
ჩემო ქალაქო,
აქ სიყვარულია,
გამარჯვებაც აქ არის.

**ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲮᲐᲠ ᲨᲔᲜᲘ ᲮᲔᲓᲘᲗ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ, ᲨᲔᲜᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲑᲘᲚᲘᲙᲘᲗ, ᲛᲖᲔᲗᲐᲛᲖᲘᲘᲗ, ᲢᲐᲑᲐᲬᲧᲣᲠᲘᲗ, ᲢᲘᲛᲝᲗᲔᲡᲣᲑᲜᲘᲗ, ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘᲗ**

ჩემო ხეობავ,
შენეული შუქ-ჩრდილებით,
დიდი გულითა
და ლურჯი იებით..
სულ მენატრები...
პატარა სახლების ლამაზი აივნებით.

შენი სიყვარულით და მონატრებით
არასდროს დავიღლები...
სულ სხვა სილაღით
სულ სხვა რითმებით,
სიყვარულის ხმას თქვენც გაიგებდით...

არასდროს ცივა ბორჯომში,
მენდეთ,
აქ დილა იწყება
მზის
გაღიმებით...

აქ ხომ თენებას
სხვა სინათლე აქვს,
ამ დროს
იღება ცისკენ სარკმელი,
ამ გზას ატყვია რუსთველის კვალი,
მთაწმინდელის და
გრიგოლ
ხანძთელის.

**ᲠᲐᲦᲐᲪ ᲛᲔᲢᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲔᲗᲥᲕᲐ.. ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲮᲔᲚᲐᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ, ᲩᲔᲛᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ, ᲨᲔᲜᲗᲐᲜ ᲩᲔᲛᲘ ᲧᲝᲤᲜᲐᲐ, ᲨᲔᲜᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ ᲡᲘᲐᲠᲣᲚᲘ. ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ „ᲑᲝᲠᲯᲝᲛ-ᲥᲐᲚᲐᲥᲝᲑᲐᲡ“!**

პატივისცემით **ᲛᲐᲙᲐ ᲑᲚᲘᲐᲫᲔ**

# სალამი ბორჯომის თვალწარმტაც ხეობას,

## ცნობილი პიროვნებები ბორჯომის შესახებ წერდნენ

● **ბორჯომი** ჩემია: მე გამიწევია მანდ ლაზათები მაშინ, როდესაც სახლების მაგიერ გვედგა კარვები: მუზიკის ნაცვლად ჰგალობდნენ ბულბულები. სადაც არ იყო გზა, და ჩვენც ვიმალებოდით ჭალაკებში, ბუჩქებში...

ეჰ, ქეიფი იყო და წავიდა ისე, ვითარცა ყოველივე ამა სოფელში.

**გრიგოლ ორბელიანი (1851 წელი)**

● უკვე ორი კვირაა, რაც ბორჯომში ვარ, უნდა ითქვას, რომ ეს ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია, რომელიც კი ოდესმე მინახავს, იცით, ზოგჯერ ღმერთს გეფიცებით, აღტაცების ცრემლებიც კი მდის იმ სილამაზის ხილვით, რომელსაც აქ ყოველ ნაბიჯზე წააწყდებით: გარდა იმ სილამაზისა, ბორჯომს კიდევ ერთი მიმზიდველი ძალა აქვს, აქ მოიპოვება შემადგენლობით საუკეთესო მინერალური წყლები, ერთ-ერთი ძლიერ წაგავს ვიშის წყალს... ჩემი აზრით, ეს ყველაზე ღვთაებრივი და საუცხოო ადგილია მთელს მსოფლიოში...

**პეტრე ჩაიკოვსკი (1887 წლის 27 ივლისი)**

● **რამდენიმე** დღე დავყავი ბორჯომში, სადაც ძალიან კარგად გავხდი და არავითარი ტკივილი არ მიგრძვნია.

სალამი ბორჯომის თვალწარმტაც ხეობას, მის ტურფა ბუნებას და მოსახლეობას.

**გალაკტიონი**

● **ბორჯომია მასპინძელი, გულკეთილი ჩვეულების, ჩამობრძანდით, გელით, გელით, გაიკაჟეთ სხეულები.**

**რევაზ გელაშვილი**

– **ბორჯომი** სიყვარულისა და მეგობრობის ქალაქია.

**ჯანსუღ ჩარკვიანი.**

● **...ამიერკავკასიაში** არ არის ისეთი ადგილი, სადაც იმდენი რამ იყოს გაკეთებული ევროპული გემოვნებით კომფორტისათვის და ზაფხულში უკეთესად ცხოვრებისათვის როგორც ბორჯომში.

**გუსტავ რადე (1883 წელი)**

● **...ეს წყლები** (იგულისხმება ბორჯომი) არა თუ უარესია საზღვარგარეთისაზე, არამედ ბევრად უკეთესიცაა, მაგრამ ჩვენ ძალიან ახალგაზრდები ვართ, ძალიან ცოტა ვიცით ჩვენი სიმდიდრის შესახებ, ძალიან ცოტას მოვიხმართ, ძალიან ცოტას ვაფასებთ მათ.

**პ. კოვალევსკი (1892 წელი) პროფესორი**

– **ძნელია** მონახოთ უკეთესი ადგილი საგაზაფხულო ცხოვრებისთვის, ვიდრე ბორჯომია. აქ ბუნებამ უხვად დააფრქვია თავისი სიმშვენიერე, მრავალფეროვნება, რომლებიც ასე კარგად მოქმედებენ ადამიანის ფიზიკურ და მორალურ მხარეზე...

**გ. სტრუვე (1867 წელი) პროფესორი**

● **ბევრი** ადამიანისთვის სიტყვა „ბორჯომი" ჟღერს როგორც პოპულარული მინერალური წყლის სახელწოდება, მაგრამ ეს საქართველოს მშვენიერი ქალაქის სახელწოდებაც არის".

**გუნარ პრიედე, ლატვიის მწერალთა კავშირის მმართველობის მდივნის თავმჯდომარე**

● **ბორჯომი** – ჩვენი საყვარელი ადგილია. მისი ხეობის ზღაპრული სილამაზე სტუმარს უქმნის მშვენიერ გუნებას.

**ნონა გაფრინდაშვილი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში**

## სოფელი მადლიერია



**მაღალმთიანი** სოფელ საკირის მცხოვრები **ქალბატონი ფატი კურტანიძე,** ხანდაზმული ასაკის მიუხედავად, აქტიური ცხოვრების მაგალითებს უჩვენებს თანასოფლელებს. წლების მანძილზე სოფლისადმი და ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლებების წინაშე გამოირჩევა აქტუალური პრობლემების გადაწყვეტისადმი ზრუნვით. არაერთი თხოვნა და მოთხოვნა გაუგზავნა ცენტრალურ ხელისუფლებას სამი სოფლის – საკირის, ტაძრისის და დგვარის მოსახლეობის გაზიფიცირების პრობლემის მოგვარებისათვის. „რკინის ქალამნებით" შემოიარა თბილისში სამინისტროები და ბორჯომის მერია, კატეგორიულად ითხოვდა სოფლისათვის სასმელი წყლის მოწესრიგებას და მოსახლეობისათვის მეორე ავტობუსის გამოყოფას, ერთი ავტობუსი საკმარისი არაა სამი სოფლისათვისო. ხალხს რაიონულ ცენტრამდე ჩასვლა პრობლემად ექცაო.



ორი წელი მოანდომა სოფელში ახალგაზრდებისათვის სტადიონის აშენებისათვის ადგილის გამოყოფას. თავისას მაინც მიაღწია. მიმდინარე წლის მაისში კიდეც დაიწყეს სტადიონის და სკვერის მშენებლობა. სტადიონის საპროექტო ნახაზები რომ ნახა, შეამჩნია, რომ სტადიონზე მაყურებელისათვის დასაჯდომი ადგილები არ იყო გათვალისწინებული. ისევ მიმართა მუნიციპალიტეტის მერიას, მოთხოვნით – სტადიონზე სკამების და მოზარდებისათვის ტრენაჟორების მოწყობის თაობაზე.

სტადიონი აშენდა და ახლა იმ მოედანზე ისმის მოზარდების ჟივილხივილი, ქალბატონი ფატი მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებლის **თამაზ თომაშვილის** მადლიერია, გულისხმიერი პიროვნებაა და ყველაფერი ხარისხიანად გააკეთაო.

ფატიმ ბავშვები გააფრთხილა სტადიონს გაუფრთხილდით, არ დააზიანოთ მოედანი, თამაშის შემდეგ კარები დაკეტეთ, იქაურობა პირუტყვმა რომ არ დააბინძუროსო.

სოფლის მოსახლეობა კმაყოფილია იმ ინფრასტრუქტურული პროექტებით, რომლებიც ისევ მოსახლეობის საკეთილდღეოდ აშენდა, რისთვისაც მადლობით მოიხსენებენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას. ორიოდე კვირის წინ საკირელებმა ნამდვილად გაიხარეს, როცა 400 კომლიანი სოფელი 24-საათიანი სასმელი წყლით იქნა უზრუნველყოფილი. ამ წყლის სათავე-ნაგებობის მშენებლობისათვისაც აქტიურად გაისარჯა **ფატი კურტანიძე.**

– მომავალი წლისათვის ველოდები ორი მოთხოვნის შესრულებას, ესაა ბავშვთა გასართობი ატრაქციონების და ტრენაჟორების მოწყობას, – გვითხრა გამომშვიდობებისას ქალბატონმა ფატიმ.

სასიხარულოცაა და საამაყოც ქალბატონ ფატის შემართება და ზრუნვა მშობლიური სოფლისადმი.

ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი მოუსვენარი და სოფელზე მზრუნველი ადამიანები.

**ვალერიან ლომიძე**

## ბორჯომს

**საქართველოს მარგალიტო,**
**სიამაყე ერისა,**
**ჩვენო ზღაპრულო ქალაქო,**
**ბაღნარო ედემისა.**
**ადგილო და სამყოფელო**
**მინერალურ წყლებისა,**
**გამხარებელო გულისა,**
**სტუმარ-მასპინძლობისა,**
**შენი ლამაზი ბუნებაც**
**შენს დიდებას შვენისა,**
**მფარველო და სამყოფელო**
**ირმების და შვლებისა.**
**ნაირ-ნაირ ფრინველების**
**ტკბილად მგალობელისა,**
**ცად აწვდილი ხე-ტყეების**
**კლდეების და მთებისა.**
**შენი ლამაზი ხეობა**
**სულ სხვადასხვა ფერისა,**
**მოჩუხჩუხე, მორაკრაკე**
**ხმა ნაკადულისა.**
**ქალაქს შუა მტკვრის დინება**
**ზედ რწევა ხიდებისა,**
**სიმრავლე და სილამაზე**
**ძველი მონატრებისა.**
**გაღმა-გამოღმა ციხენი**
**განუყრელი ძმებისა,**
**ჩვენი წინაპრებისა.**
**შენს სახელს მარად დიდება**
**მარგალიტო ქვეყნისა,**
**ჭირიმე შენი ბუნების**
**და შენი სახელისა.**

**გურამ ქუნცელი-ივანიძე**
**საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.**

## მაყურებლის საყვარელი მსახიობი



**მოზარდთა თეატრის დღევანდელ დასს სულ ათიოდე სეზონია შეუერთდა გამოცდილი ხელოვანი პალიკო ნოზაძე, რომლის შემოქმედებითი ცხოვრება უკვე ნახევარ საუკუნეს ითვლის. ყოველთვის რთულია ხოლმე მუდმივმოქმედ დასში ახალი ადამიანის შემოსვლა. მით უფრო ისეთის, რომელსაც არა მხოლოდ მდიდარი შემოქმედებითი წარსული გააჩნია, არამედ მსახიობი-მოქალაქეცაა, თუმცა ბატონი პალიკო ნოზაძე საკუთარი გამოცდილებითა და შემოქმედებითი ალღოთი ორგანულად შეერწყა თეატრის კოლექტივს და რამდენიმე სეზონში, მისი დასის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ მსახიობ-პროტაგონისტად იქცა.**

**პრაქტიკულად სკოლის დამთავრებისთანავე მსახიობობის სურვილით გულანთებული ყმაწვილი კაცი მისი მშობლიური ქალაქის, ბორჯომის სახალხო თეატრის დასის წევრი გახდა. იმ პერიოდში ამ თეატრს ხელმძღვანელობდა რეჟისორი გიორგი ხმალაძე, სწორედ მის სახელს უკავშირდება ბატონი პალიკო თეატრალური ანბანის შესწავლას.**

**ბორჯომის სახალხო თეატრი დიდი პოპულარობით სარგებლობდა მთელ საქართველოში. უკვე პრემიებითა და წოდებებით დახუნძლულმა შემოქმედმა, პალიკო ნოზაძემ ერთხელ პირად საუბარში მითხრა, ყველაზე ძვირფასი ის ჯილდო იყო, რომელიც ბორჯომში ნათამაშები როლით მივიღეო. ეს ჯილდო კი, ლაურეატის წოდება იყო საკავშირო დათვალიერებაზე. განსაკუთრებული პატივისცემით იგონებს ბატონ გიორგი ხმალაძეს, კაცს, რომელსაც მიიჩნევს მეორე მამად, მასწავლებლად, გზის გამკაფავად და იდეალად. პედაგოგებთან მუშაობის პარალელურად, პავლე ნოზაძე სტუდენტობიდანვე აქტიურად ჩაერთო კურსელი-რეჟისორების სადიპლომო სპექტაკლების მომზადებაში.**

## ამას შენზე ამბობენ, ბორჯომო!

**ბორჯომისა და ბორჯომელებისადმი მაღალი შეფასება, უდიდესი სიყვარული და პატივისცემა გულწრფელად აქვთ გამოხატული თვით ჩვენი ქვეყნის არც თუ მოსიყვარულე ადამიანებს. რამდენიმეს შეგახსენებთ.**

● **გასული საუკუნის 60-იან წლებში ბორჯომს ირანის შაჰის ტახტის მემკვიდრე ეწვია, რომელმაც სახელმწიფო ნაკრძალში ოფიციალურად შეისყიდა ლიცენზია ირემის მონადირებისათვის, რამდენიმე დღე მთაზე კარავში ცხოვრობდა და ჩვენი ხეობის უმშვენიერესი ბუნებით მოხიბლული ერთ დღეს ტელეფონით თავის ახლობლებს აღტაცებული ესაუბრებოდა „ახლა მე ამ ტელეფონით სამოთხიდან გესაუბრებით"**.

● *ქართველთა დაუძინებელი* მტერ აფხაზი ვლადისლავ არძინბა გასული საუკუნის 70-იან წლებში ბორჯომში იმყოფებოდა ისტორიკოსთა კონფერენციაზე, ჟურნალისტის კითხვაზე, როგორ მოეწონა ბორჯომის ხეობა, გულახდილად განაცხადა, ***„ბორჯომზე ლამაზ და მომხიბლავი ადგილი თვით აფხაზეთშიც არ მეგულებაო"***.

● *ცნობილი რუსი* მოჭადრაკე დიდოსტატი ანატოლი კარპოვი მსოფლიო ჩემპიონატის წინ ლიკანის სასახლეში ემზადებოდა. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ განაცხადა, „თუ ჩემპიონი გავხდი, ბორჯომის დიდი დამსახურებააო".

● *საყოველთაოდ აღიარებული* ჭეშმარიტებაა ისიც, რომ საბჭოთა კავშირის არსებობის წლებში მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშებისათვის ბორჯომ-ბაკურიანში ემზადებდნენ სპორტის სხვადასხვა სახეობის ნაკრებების წევრები, კოსმოსში გაფრენის წინ – კოსმონავტები.

● *კულტურისა და ხელოვნების* თვალსაჩინო წარმომადგენლები ჩვენს ხეობაში დასვენებას და მკურნალობას უპირველეს ამოცანად მიიჩნევდნენ.

● *ცნობილი მეცნიერები* ამტკიცებდნენ, რომ ბორჯომის ხეობაში 10-15 დღით დასვენება ადამიანს მთელი წლის მანძილზე უნარჩუნებდა ჯანმრთელობას, სიმხნევეს, ზრდიდა შრომის ნაყოფიერებას და სიცოცხლის ხალისს.

## აღმშენებლობის პროცესი გრძელდება

**სოფლის** მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მაღალმთიან სოფლებში ტაძრისში, საკირეში და დგვარში ინფრასტრუქტურული პროექტები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

ადგილობრივი მოსახლეობის გადაწყვეტილებით, სამივე სოფელში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია განხორციელდება.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, სოფელი საკირისთვის 32 000 ლარი გამოიყო, ტაძრისისთვის 32 000 ლარი, ხოლო დგვარისთვის 24 000 ლარი.

საკონსულტაციო შეხვედრები ბორჯომის მუნიციპალიტეტის 33 სოფელში გაიმართა. სოფლის კრებებზე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ხმათა უმრავლესობით შეარჩიეს ის პრიორიტეტული პროექტები, რომელთა განხორციელებასაც დასახლებისთვის გამოყოფილი თანხა მოხმარდება.



2022 წელს, ბორჯომის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, ცენტრალური ბიუჯეტიდან 436 000 ლარი დაიხარჯება. აღნიშნულ თანხას ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა 436 000 ლარის ოდენობით დაემატება. ჯამში სოფლებში შერჩეული პროექტების განხორციელებაზე 872 000 ლარი დაიხარჯება.

**ბაკურიანში,** თამარ მეფის ქ №35-ში საყრდენი კედლის მშენებლობა მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში, 31,5 გრძივი მეტრი სიგრძის და 4,5 მეტრი სიმაღლის რკინა-ბეტონის კედელი მოეწყობა, რითაც ახლომდებარე საცხოვრებელ სახლებთან გრუნტისა და საავტომობილო გზის ჩამოშლის საფრთხე მოიხსნება.

კედლის მშენებლობას ბორჯომის მერია აფინანსებს, რისთვისაც ადგილობრივ ბიუჯეტში 71 556 ლარია გათვალისწინებული.

მიმდინარე წლის ბოლომდე მუნიციპალიტეტში კიდევ რამდენიმე კედლის მოწყობა არის დაგეგმილი.

## შენდება პროფსასწავლებელი

**პროფესიული** განათლების ხელმისაწვდომობისათვის ბორჯომში მიმდინარეობს პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა 250 სტუდენტზე (პროექტის ღირებულება შეადგენს 9 513 507 ლარს),, რომელიც დასრულდება მიმდინარე წლის შემოდგომაზე, რაც სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებს საშუალებას მისცემს დაეუფლონ პროფესიულ განათლებას თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სასწავლებელში.



სასწავლებელში დაინერგება როგორ მოკლევადიანი, ისე მომზადება-გადამზადების კურსები ზრდასრულებისთვის, ასევე სადიპლომო და საშუალო პროფესიული პროგრამები.

ძირითადი აქცენტი გაკეთდება ტურიზმისა და მომსახურების მიმართულებებსა და რეგიონისთვის მნიშვნელოვან პროფესიებზე, კერძოდ: სატყეო, ხის დამუშავების და სხვა მიმართულებებზე.

# მის ტურფა ბუნებას და მოსახლეობას! (გალაკტიონი)

## რას ფიქრობთ „ბორჯომ-ქალაქობის“ დღესასწაულზე

**სათქმელი, რომელიც ხშირად ჩვენი ქალაქის მოსაფერებლად გვიხმობს, განუზომელ სიყვარულს იტევს. ეს არის ჩვენი ხეობისადმი გამოხატული სითბო და პატივისცემა. აქ, სხვანაირად ცოცხლდები, სხვა ფერია მონატრება და მონატრებული ნაცნობი ქუჩები. ზაფხულის ხმაურიან დღეებს არ ჰგავს შემოდგომის, ზამთრის და გაზაფხულის დღეები, მთელი დღის დაღლილი, ხმაურიანი ქალაქის ცენტრალური მოედანი საღამოს გარინდული იკრებს ძალებს, ისეთი სასიამოვნო და მისტიურია საღამოობით მის ქუჩებში სეირნობა, რომ მხოლოდ რამდენიმე გამვლელი მანქანის ხმაური თუ დაარღვევს სიმყუდროვეს. აი, ამ დროის მონაკვეთში არის ყველაზე გამორჩეული ჩემთვის ბორჯომი. გვიან, სამსახურიდან გასულს სულ სხვა რუდუნება და ხიბლი მიგრძვნია მის დიდებულ ქუჩებში.**

**შევეცადე კიდევ ერთხელ მოკლედ გადმომეცა ჩემი დამოკიდებულება ბორჯომ-ქალაქისადმი. იგივე ვთხოვე ბორჯომელებს, რომლებიც ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ დიდი მოწიწებით ეფერებიან ჩვენს ქალაქს და უყვართ მასთან ერთად გატარებული ყოველი წუთი.**

**მაია ხუციშვილი,** ბორჯომის ახალგაზრდული ცენტრის ხელმძღვანელი:

- ბორჯომი ჩემთვის სიყვარულის ქალაქია, ყველაზე დიდი სითბოს, უდიდესი ემოციების, ოჯახური გარემოს და საოცარი ახალგაზრდობის ადგილი. 19 წელია ამ ქალაქს ვათვალიერებ, ყოველ ჯერზე ვპოულობ რაღაც ისეთს, რაც აღმაფრთოვანებს, რაღაც ისეთს, რაც კვლავ აქეთ მაბრუნებს. „ბორჯომ-ქალაქობა“ დიდი დღესასწაულია, ამ დღეს ყველას, ვინც ეს ქალაქი დატოვა დროებით თუ სამუდამოდ ერთხელ მაინც ახსენდება ბორჯომი და მისი ბავშვობა თუ სიყმაწვილე. „ბორჯომ-ქალაქობა“ - სიხალისეა, ქალაქის თუ თანაქალაქელების სიხარულით გახარებაა, მონატრებული ადამიანების შეხვედრით გამოწვეული ბედნიერებაა და თითქოს ჩახუტებაა ქალაქთან, რომელიც რაღაც აბსტრაქტული, თითქოს წარმოუდგენელი სიყვარულით გიყვარს, და რამდენად შორსაც არ უნდა წახვიდე არ გავიწყდება.

**ნინო ბენდელიანი,** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება - „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი“-ს დირექტორი:

- „ბორჯომ-ქალაქობა“ ჩემთვის არის უდიდესი დღესასწაული, რადგან სწორედ ამ ქალაქში დავიბადე და გავიზარდე. ყოველთვის ვგულშემატკივრობ და მინდა მთელი გულით ვუსურვო ძალიან ბევრი ნათელი და ბედნიერი დღე ჰქონდეს ბორჯომს და ჩემს ბორჯომელებს. მსურს, ჩემი ქალაქი იყოს გაბრწყინებული, ამასთან ყოველმხრივ მოწესრიგებული და ამ ქალაქში ჩამოსვლა ყველას ყოველთვის უხაროდეს.

**ნატო სანადირაძე,** ექიმი-პედიატრი: - ვისურვებდი ყოველი დღე თითოეული ბორჯომელისთვის იყოს მშვიდობიანი, მატერიალური კეთილდღეობის და ამაღლებული განწყობის... მიყვარხართ ჩემო თანაქალაქელებო და თქვენთან ურთიერთობის ყოველი დღე ჩემთვის დღესასწაულია. არ ვიქნები მართალი თუ ვიტყვი, რომ ბორჯომ-ქალაქობის დღესასწაული ჩემთვის გამორჩეული დღეა... როცა წლიდან წლამდე მოსახლეობის ცხოვრების დონე სასიკეთოდ არ იცვლება, როცა ამ პატარა ქალაქიდან ემიგრაციაში წასულთა რიცხვი ყოველწლიურად მატულობს, და მაინც "ბორჯომ-ქალაქობის" დღესასწაულის პომპეზურად აღნიშვნა ფასადური მგონია...

**ნათია და ხატია გვარამაძეები, სტუდენტები:** - „ბორჯომ-ქალაქობის“ დღესასწაული ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ქალაქი ბორჯომი ჩვენი მშობლიური ქალაქია და ჩვენს გულში დიდი ადგილი უჭირავს. ყოველ წელს ბორჯომობის დღესასწაული ძალიან მრავალფეროვანი და გამორჩეულია. იმართება სხვადასხვა ღონისძიება, რაც დღეს ძალიან საინტერესოსა და სახალისოს ხდის. ბორჯომ-ქალაქობა მომავალ წლამდე მრავალ ტკბილ მოგონებას გვიტოვებს.

**ჩაიწერა**
**ია ისაკარაშვილმა**

### „ბორჯომის“ ინტერვიუ

## ისევ ხანძრის პრევენციის შესახებ

**ჩვენი** გაზეთის 1 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა ბორჯომელი მხატვარ-დიზაინერის, ბორჯომის საპატიო მოქალაქის **თანგული ორთოიძის** წერილი **„გულგრილობა ხანძარს ვერ აქრობს!“**. ამ წერილს მკითხველთა ფართო გამოხმაურება მოჰყვა. ტელეფონით რეკავდნენ როგორც წერილის ავტორთან, ასევე საზოგადოებრივი დარბაზის გამგეობის სხვა წევრებთან და რედაქციაშიც.

აღნიშნულ ხანძართან დაკავშირებით ბატონ თანგულს ვთხოვეთ ვრცლად ესაუბრა ხანძრის გამომწვევ მიზეზებზე.

**⬣ ბატონო თანგული, ზორეთ-ქვებისხევი-აწყურის ზონაში ხანძრის ლოკალიზება გაჭიანურდა. თქვენი აზრით რამ გამოიწვია ეს?**

- ხანძრისგან ჩვენი ტყეების დაცვა ისეთი საკითხია, რომელზეც საუბარი და მსჯელობა არასოდეს არ არის უადგილო და ზედმეტი! ხანძრის ოპერატიულად ჩაქრობა ვერ მოხერხდა ზემდგომი ორგანოების ნელი მოქმედებზორეთის ხანძრის ჩაქრობის შემდეგ ხანძარმა კვლავ იფეთქა ლიკნის ახლომდებარე ტყეში, ასევე საააკაძის ქუჩის გვერდზე ჩამომავალი ხევის სათავე-ადგილებში. კიდევ კარგი, ეს ახალი კერები მალე ჩაქრა, 3-4 დღეში, და წინა გაჩენილი ხანძრის ჩაქრობასავით არ გაწელილა, რომელიც 17 დღე და ღამე გაგრძელდა. როგორ მიაღწიეს ასეთ მალე ჩაქრობას? სწორედ იმ სწრაფი რეაგირებით, რაზეც წინა წერილში ვწერდი. ლიკანში ვერტმფრენი სულ რაღაც ნახევარ საათში გაჩნდა და ჩაქრობა დაიწყო. ადგილზე მალე გაჩნდნენ მოქლაქეებიც.

**⬣ იმის თქმა გსურთ, რომ ზორეთის ხანძრის ჩაქრობა დაგვიანებით დაიწყეს?**

- რასაკვირველია, დაგვიანებით დაიწყეს. აქ საათებსაც კი მნიშვნელობა აქვს. ვერტმფრენები, ჯარი და პოლიცია კი მესამე და მეოთხე დღეს მოვიდნენ ადგილზე. მოქალაქეები სწორედ ამის შესახებაც მირეკავდნენ ტელეფონით. სოციალურ ქსელებშიც ძირითადად იმ სიმართლეზე საუბრობდნენ, თქვენი გაზეთის წერილში კი ეწერა, სოციალურ ქსელებში ეს არ უნდა იკადრონო! აქ მათი



ტონი იყო დასაგმობი და არა სიმართლე, რომელიც ყოველთვის „მწარეა“.(?)

**⬣ თქვენი აზრით, რატომ გახშირდა ასე ხანძრები და რატომ გაძნელდა მათი ჩაქრობა, როდესაც, ვთქვათ, 35 წლი წინ, კომუნისტების მმრთველობის პერიოდში არ იყო?**

- მთავარი მიზეზი ის არის, რომ კლიმატი თანდათან იცვლება. მთელ მსოფლიოში გლობალურმა დათბობამ მოიტანა ასეთი გვალვები და ამას მოჰყვა ხანძრები. მე არ მახსოვს, 75 წლის კაცი ვარ და ივლისს-აგვისტოში გვალვა 50 დღე გაგრძელებულიყოს! მეორე მიზეზად მიმაჩნია ის, რომ კომუნისტების დროს უფრო მეტად უფრთხილდებოდნენ ტყეს, ვიდრე ახლა. მაშინ სატყეო მეურნეობებში მეხანძრეები სპეციალურად იყო დასაქმებული და მათ მიმაგრებული ჰქონდათ უბნები ყოველდღიურად სათვალთვალოდ. გარდა ამისა, ხელისუფლება მაშინ მოსწავლე-ახალგაზრდობას (და ზოგადად მთელ მოსახლეობას) მასობრივად იყენებდა მაისში და სექტემბერში ტყეების გასაწმენდად. ძველი ადამიანები ამბობდნენ, რომ გასული საუკუნის 50-იან, 60-იან წლებში, მაგალითად, სატყეო ტექნიკუმში სექტემბერში სწავლის მაგივრად მოსწავლეები და პედაგოგები მთელი თვე ტყეს ასუფთავებდნენ. მაშინ სად დაინახავდით ტყეში გაუწმენდავ ადგილებს. ახლა კი როგორც ნაკრძალი, ასევე სხვა ტყეები გამხმარი, მოჭრილი ტოტებითაა გავსებული და ჩახერგილი. ხანძრის საშიშროების გარდა ასეთ ადგილებში მრავლდება ტყის უამრავი მავნებელი. განა არ შეიძლება სკოლების მაღალკლასელები ახლაც გამოიყენონ ტყეების გასაწმენდად და მათ რაღაც თანხაც გადაუხადონ? ახალგაზრდებსაც ინეტერესი გაუჩნდებათ. ახლა შექმნილია უამრავი არასამთავრობო ორგანიზაციები, ვითომ ბუნების დაცვისათვის, რომლებიც საზღვარგარეთიდან საკმაოდ მსუყედ ფინანსდებიან, მაგრამ გინახავთ, ისინი ტყეში გასულიყვნენ ტყეების გასაწმენდად? მხოლოდ სურათების გადასაღებად, ერთ ადგილზე ნაგავს მოაგროვებენ და ხალისობენ...

**⬣ იმ წერილში თქვენ დრონების და ვერტმფრენების შეძენაზეც ლაპარაკობდით.**

- დიახ, ერთ დრონს 30 კილომეტრის რადიუსზე შეუძლია „პატრულირება“. მართალია, მათი შეძენა და მართვა ძვირი ჯდება, მაგრამ ხანძრების პრევენციის მიზნით მთავრობა ალბათ ამ გზითაც უნდა წავიდეს. ყველაზე კარგი კი იქნება ძველი სატყეო მეურნეობების აღდგენა მაშინდელი საშტატო შემადგენლობით.

**ესაუბრა**
**უჩა არაგვისპირელი**

### ვულოცავთ დღესასწაულს

## მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა...



**ბორჯომი** წლის ყველა დროს ლამაზია, მაგრამ განსაკუთრებით მომხიბვლელია შემოდგომით, როდესაც ფერდობებზე შეფენილი ტყის საფარველი ათასფრად ირთვება. ბუნების მრავალფეროვნება მკურნალობის, დასვენების და მოგზაურობის ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

განვლილ საუკუნეებში ბორჯომის ხეობას ისტორიულად თორის სადროშოს შემადგენლობაში განიხილავდნენ, რომელიც საქართველოს ერთ-ერთი ძლიერი მხარე იყო, როგორც ეკონომიური, ასევე სამხედრო თვალსაზრისით. თორის სადროშოს მოპოვებული ჰქონდა უფლებები ომის დროს, პირველებს დაეწყოთ ბრძოლა მტრის წინააღმდეგ, რომლებიც ბრძოლის მეთოდებს ფლობდნენ და მტერს აიძულებდნენ უკან დაეხიათ, რაც მთელ ქართველთა ლაშქრის შეტევაზე გადასვლას განაპირობებდა. აქ ბევრი თვალსაჩინო მოღვაწე და სახელგანთქმული სარდალი აღიზარდა, რომლებსაც ღირსეული წვლილი შეუტანიათ საქართველოს წარმატებებში, მათ შორის იყვნენ ძმები შალვა და ივანე თორელები, გრიგოლ ბაკურიანი, გიორგი მთაწმინდელი და სხვები.

1862 წელს კავკასიის მთავარმმართებლად დაინიშნა რუსეთის იმპერატორის ალექსადნრე მეორის ბიძა დიდი მთავარი მიხეილ რომანოვი, რომელსაც ბორჯომის ხეობის ბუნება ძალიან მოსწონებია და საზაფხულო რეზიდენციად მოუწყვია. 1871 წელს ბორჯომში სასახლე აიშენა, რომლის გახსნაზეც თვით რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მეორე მოიწვია. მანვე ბორჯომულაზე ააშენა რუსეთის იმპერიაში პირველი მაღალ წნევიანი ჰიდროელექტროსადგური, სიმძლავრით 103 კვტ. სასახლის, სასტუმროების, შუშის და ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. რომანოვებმა ააშენეს რკინიგზა ხაშურიდან ბორჯომამდე და ბორჯომიდან ბაკურიანამდე (ვიწროლიანდაგიანი). მათ დიდი წვლილი შეიტანეს ბორჯომის, როგორც კურორტის ჩამოყალიბებაში.

დღეს ბორჯომში ცხოვრობს ნიჭიერი, შემოქმედი და მშრომელი ხალხი, რომელიც თავის სტუმართმოყვარეობით გამორჩეულია.

ბორჯომში დაიბადა და გაიზარდა ბევრი გამოჩენილი ადამიანი, რომლებიც მოღვაწეობდენ არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ჩვენთვის დაუვიწყარია მსახიობები: ქეთევან კიკნაძე, ტრისტან სარალიძე, კომპოზიტორი და მომღერალი ნატო გელაშვილი, ტრიო „ჰანგის“ მომღერალი ზაზა გელაშვილი, პოეტი მაკა ბლიაძე, აწ გარდაცვლილები პროფესორი, აკადემიკოსი ვიქტორ ჯაფიაშვილი, ელიზბარაშვილი, მომღერლები თენგიზ ზეინკლიშვილი, ნუგზარ გელაშვილი და მრავალი სხვა.

ჩვენთვის სასიხარულოა, რომ ბორჯომი ყოველწლიურად მშვენდება და ლამაზდება და სასიკეთოდ იცვლის სახეს, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია. იგი უნდა გადაიქცეს საერთაშორისო შეხვედრების, სიმპოზიუმების, კონფერენციების, სპორტული შეჯიბრებების გამართვის ადგილად, რისთვისაც საჭიროა სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

სამწუხაროა, ის ამბავი, რომ აგვისტოში გაჩენილმა ხანძარმა დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს ტყეებს და ბუნებას. ერთხელ და სამუდამოდ საჭიროა შეიქმნას გარემოს ზედამხედველობის ისეთი სამსახური, რომელსაც საშუალება ექნება ხანძრის მცირე შემთხვევაც კი დროულად მიიღოს ზომები მის დიდ მასშტაბში გადაზრდის გამოსარიცხად.

აქვე მინდა ყველას, ვინც თავდაუზოგავად შრომობდა ხანძრის ჩასაქრობად დიდი მადლობა გადავუხადო.

ყველა ბორჯომელს და ჩამოსულ სტუმარს ვულოცავთ „ბორჯომ-ქალაქობის“ დღესასწაულს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, მშვიდობას და ღირსეულად ცხოვრებას, რათა წლის ყველა დროს ღირსეული მასპინძლობა გაეწიოთ ჩამოსული სტუმრებისათვის.

**ზაურ ლაზარაშვილი,**
**ბორჯომის საზოიგადოებრივი დარბაზის თავმჯდომარე**

## დღეს ჩვენი ქალაქის დღესასწაულია



**„ბორჯომ-ქალაქობას“** - ისეთი განცდაა, თითქოს ყველა ბორჯომელის დაბადების დღეა. ეს ის ქალაქია, რომელსაც მსოფლიო იცნობს და ამაყი ვარ, რომ აქ დავიბადე. ვულოცავ ყველა ბორჯომელს და სრულიად საქართველოს ამ დღესასწაულს. ვუსურვებ მეტად განვითარდეს ბორჯომი, რის მისაღწევადაც ყველამ ერთად უნდა ვიღვაწოთ.

**ელიზბარ სტეფნაძე,**
**ბორჯომის სასპორტო სკოლის დირექტორი**

## უფლისაგან ნაბოძები საგანძური



**ბორჯომი** თავისი ისტორიის მანძილზე ყოველთვის იყო კულტურული და ტურისტული ცენტრი არა მხოლოდ მეფის რუსეთის იმპერიის ან საბჭოთა კავშირის ფარგლებში, არამედ მსოფლიოს მასშტაბით. ჩვენი ქალაქის ბუნებითა თუ უნიკალური სამკურნალო წყლებით არა ერთი ცნობილი პიროვნება და საზოგადო მოღვაწე დარჩენილა აღფრთოვანებული.

ჩემთვის, როგორც ბორჯომელისთვის, ბორჯომი ყველაფერია, სულიც და გულიც. ბორჯომელობა უფლისაგან ნაბოძები საგანძურია და უნდა მოუფრთხილდეს ყველა ბორჯომელი. ვულოცავ ჩემი ქალაქის მოსახლეობას „ბორჯომ-ქალაქობას“ და ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებ.

**ნიკოლოზ ედილაშვილი**
**მუსიკოსი**

# ერთმანეთს შევეჯიბროთ ბორჯომის სიყვარულში!

## ვულოცავთ!



მსოფლიო ჩემპიონატზე ვეტერან ძიუდოისტთა შორის, რომელიც გამართა პოლონეთის ქალაქ კრაკოვში, ბორჯომელმა ვეტერანმა ძიუდოისტმა, **ნოდარ ანდღულაძემ** ბრინჯაოს მედალი მოიპოვება.
ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია ულოცავს ვეტერან სპორტსმენს დიდ წარმატებას.

## ბორჯომს

მიყვარს ჩემი ბორჯომის თვალწარმტაცი ხეობა,
მის ქუჩებში სიარული, არის სულის დღეობა!..
აქვე მტკვარი მოდუდუნებს, წყარო მოსჩქეფს ანკარა,
ამ ხეობის შესამკობად, მცირე სიტყვა არ კმარა....
მტკვრის ნაპირზე სიო დაჰქრის, ნაზად მეჩურჩულება,
ცაცხვის სურნელს მომაპკურებს, წამლად მესალბუნება!...
ბორჯომულა მოჩუხჩუხებს, მივუყვები ნაპირებს,
ვგრძნობ, რომ მუზაც თან დამყვება, წასვლას არსად აპირებს.
ამ ქუჩებში სიარულით ნეტავ თუ დავიღლები?
ნიკოლოზის ტაძრის კართან სიყვარულად ვიღვრები!..
ღვთივკურთხეულ სილამაზეს ვერ შევადრი ვერაფერს,
აქ სულ სხვაა მზეც და მთვარეც, სხვა ხიბლი აქვს ყველაფერს.
ჩემი ბორჯომის ხეობის ცუდი არსად არ თქმულა,
აქ ყველა კუთხე-კუნჭული სილამაზით განთქმულა.
ვინც კი ბორჯომის ხეობის ამ მშვენებით დამტკბარა,
მისი გული და გრძნობები სიყვარულით გამთბარა!!!
მასპინძლობაც კარგი ვიცით, დამერწმუნეთ ამაში,
დროს ტყუილად არ გავფლანგავთ, მითქმა-მოთქმა, დავაში....
მაშ, გვესტუმრეთ, რომ ბორჯომის სილამაზით აღივსოთ,
ხანდახან ხომ ჩვენი ყოფა უნდა გავიმაისოთ!!!...

**დალი ბანცაძე**

## ბორჯომში შემორჩენილი ბუნების ძეგლები

**1.ქვაზე ამოსული უთხოვარი** - იგი დიდხნოვანი იშვიათი ალნაგობის ხეა. მდებარეობს ბორჯომის რაიონის სოფელ დაბაში. შეტანილია საქართველოს „წითელ წიგნში“.
დასახლებულია კლდიდან მოწყვეტილ ლოდზე, ხნოვანება 200 წლამდე, სიმაღლე - 5 მეტრი, ფესვის ყელთან სიმსხო 37 სმ-ია. ვარჯის პროექცია 8მX6მ. განტოტვა იწყება ფესვის ყელთან, ნაყოფმსხმოიარობს.
საჭიროა ძეგლის შემოღობვა და სათანადო წარწერის გაკეთება.
**2.ნაღვარევი** - არის ნიადაგდაცვითი ღია შემაკავებელი თვისებების მქონე ტყისა და დიდი დაქანების ფერდობი. ძეგლად გამოცხადდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 3 დეკემბრის №710 დადგენილებით. მდებარეობს სოფ. დაბაში. საჭიროა წარწერა. აიკრძალოს ხეების და ბუჩქების მოჭრა. საქონლის ძოვება, საფარის დაზიანება, მოხვნა, გზების გაყვანა და სხვა. სამწუხაროდ, ნალვარევი სერიოზულად დაზიანდა 2008 და 2017 წლებში ამ ტერიტორიაზე მომხდარი ხანძრების გამო.
საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 15 ივნისს №395 დადგენილებით რაიონში ჭრა აკრძალული ჯიშებია: მუხა, უთხოვარი, (ურთხელი), ბზა, პანტა, უხრავი, დათვის თხილი, იფანი, კაკალი, (კაკლის დარგვა დასაშვებია შენობიდან 10-15 მ დაშორებით.) ძელქვა, კვის ხე, მაჟალო).

**საქართველოს „წითელ წიგნში“ შეტანილია ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალში და ეროვნულ პარკში არსებული ხე-მცენარეები:** უთხოვარი, უხრავი, დათვის თხილი, ქართული თხილი, წაბლი, კოლხური და ჩვეულებრივი ჯონჯოლი, მაღალი მთის მუხა, კავკასიური გველერძა, ქაცვი, ელდური თელა, გარეული ვაზი, შიშველი თელა, ბალახეული „ვინოგრადოვის ზამბახი“, ხარისშუბლა, ქართული კოწახური, ბზა, არმაზის ინდა, ანწლი, ჩვეულებრივი წაბლი, კაკალი, ბროწეული, კავკასიის კუნელი, ჩვეულებრივი ხურმა, ვიწროფოთოლა ფშატი, ქართული მუხა, სმირნოვის შქერი, უნგერნის შქერი, ჩვეულებრივი ხურმა, თეთრობის კრაზანა.
**ცხოველები:** ფოცხვერი, ირემი, შველი, წავი, ცხვირრქოსანი გველგესლა, კავკასიური გველგესლა, კავკასიური სალამანდრა, ჯვრიანა, კალმახი, მწვანე გომბეში, ჩვეულებრივი გომბეშო, ტბის ბაყაყი.
**ფრინველები:** კავკასიური არწივი, როჭო, შევარდენი, ველის არწივი, დურაჯი, გნოლი.

## გიწვევთ სამუშაოდ!

## მოკლევადიანი კურსები ქალბატონებისათვის

**სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტო“, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდაჭერით იწყებს პროექტს და აცხადებს მიღებას მოკლევადიან კურსზე ქალებისთვის, რათა დაეუფლონ ავტობუსის მძღოლის პროფესიას.**
კურსი განკუთვნილია ძირითადად ბორჯომის მუნიციპალიტეტში (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი) მცხოვრები ქალებისთვის, რომლებიც უფასოდ შეისწავლიან ავტობუსის მართვას, რათა შემდგომში მიეცეთ შანსი დასაქმდნენ, ბაკურიანის განვითარების სააგენტოს და სხვა კერძო თუ სახელმწიფო ორგანიზაციებში.
სასწავლო კურსში ჩართვა შეეძლებათ ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 24 წლიდან ქალბატონებს, რომელთაც სულ მცირე სამწლიანი გამოცდილება აქვთ კატეგორიის მსუბუქი ავტომანქანის მართვის და არ აქვთ მნიშვნელოვანი საგზაო დარღვევები.





სასწავლო კურსი გულისხმობს, თანამედროვე ავტობუსის მართვას და შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობის აღებას. ტრეინინგი მოიცავს, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ სწავლებას, საკითხებს შორისაა, ავტობუსის მართვა, მისი მოვლა, პირველადი დახმარება და მძღოლისთვის საჭირო სხვა უნარები. კურსი დაიწყება სექტემბრის ბოლოს და გაგრძელდება 2 კვირა. სასწავლო კურსი უფასოა, რომელის საფასურს ევროპის რეკოსნსტრუქციისა და განვითარების სააგენტო უზრუნველყოფს.
დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ 23 სექტემბრამდე შეავსოთ მარტივი ფორმა: https://forms.gle/zS9kebUFrujzNGHG6
სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტო“ თანაბარი შესაძლებლობის დამსაქმებელია, რომლის მიზანია დაიცვას გენდერული თანასწორობა.

**17 სექტემბერს, „ბორჯომობა 2022 აღინიშნება. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით, დღესასწაულზე ბორჯომის ცენტრალურ პარკში შესვლა და ატრაქციონები იქნება უფასო. დილიდან საღამომდე უფასოდ იმოძრავებს მუნიციპალური ავტობუსები ქალაქსა და სოფლებში.**

## ვანო კუპრაძის მოსაგონარი

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დაცვის განყოფილების უფროსი **ვანო კუპრაძე** ხშირად ამბობდა: - შეუძლებელია ცუდი ადამიანი იყო, თუ ბუნება გიყვარს!.



ოთხი წელი გავიდა იმ საზარელი დღის შემდეგ, რაც მცირე ხანძრის დროს თავის მოვალეობის პირნათლად შესრულებისას, უბედურ წამს შეეწირა მაღალი პასუხისმგებლობის რეინჯერის, ბუნების ნამდვილი ქომაგის - **ვანო კუპრაძის** სიცოცხლე. 5 სექტემბერი მისი არაჩვეულებრივი ოჯახისათვის, ახლობლებისთვის მძიმე და თავზარდამცემია. არასდროს დამავიწყდება საღამო, როცა გვითხრეს, რომ ვანიკოს ხე დაეცა და საავადმყოფოში ჰყავთო. ბორჯომისთვის ეს იყო ძვირფასი პროფესიონალი, რომელსაც თავგანწირვამდე უყვარდა გარემოს დაცვა, ბუნების მოფრთხილება.
საქართველოს პრეზიდენტმა ვანო კუპრაძე, ბუნების ერთგული ქომაგი, ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ ღირსების ორდენით დააჯილდოვა. ამას წინათ, აღინიშნა გარემოს დაცვის ტრადიციული დღე. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, **ოთარ შამუგიამ** რეინჯერებს პროფესიული დღე როცა მიულოცა, თავის სიტყვაში ნათლად გამოკვეთა დიდი პატივისცემა დაცულ ტერიტორიებში შეტანილი წვლილისთვის ყველა იმ რეინჯერის მიმართ, ვინც მოვალეობის შესრულებას შეეწირა. სწორედ იქ გადასცეს კონპენსაცია და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ჯილდო ვანო კუპრაძის მეუღლეს - ნათია მულაძეს. 2022 წელს დაწესდა „ვანო კუპრაძის“ სახელობის ჯილდო ტყის ხანძრის, თუ სხვა სტიქიური უბედურების წინააღმდეგ აქტიური მოქმედებისათვის, ამჯერად ჯილდო გადაეცა ბორჯომ-ხარაგაულის რეინჯერს, ბატონ **მამუკა თოთლაძეს**. ვანიკო კუპრაძის სახელი დარჩა პატიოსნებასთან წილნაყარი და სულ ასე იქნება! როცა შევდივართ ბუნების წიაღში, ვუყურებთ მთებს, ხელშეუხებელ გარემოს - ძნელია არ გაგახსენდეს კაცი, რომელიც დააკლდა ბორჯომს, დააკლდა გარემოსდამცველებს!

**მონიკა ჭანტურია**

## ავთანდილ გელაშვილის ხსოვნას



ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 89 წლის ასაკში გარდაიცვალა სიკეთით და ზნეობით შემკული, დამსახურებული და ღვაწლმოსილი პიროვნება, ავთანდილ გელაშვილი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ფოტოგრაფიას შეალია. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან სიცოცხლის ბოლომდე თავისი ფოტოაპარატით ქმნიდა ბორჯომის მატიანეს, მის ობიექტივში მოხვდნენ ბორჯომში ჩამოსული ცნობილი ადამიანები, მწერლები, პოეტები, მუსიკოსები, კოსმონავტები, რაიონის ცნობილი ადამიანები, ქვეყნის პირველი პირები, განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ გადაღებული 1968 წლის წყალდიდობა ბორჯომში, რომლებიც დღეს ინახება ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. მან ფასდაუდებელი სიმდიდრე დაუტოვა ბორჯომის მომავალ თაობას.
განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ბატონი ავთანდილი დიდი ხნის მანძილზე თანამშრომლობდა გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციაში ფოტო-რეპორტიორის თანამდებობაზე, მის მიერ გადაღებული საინფორმაციო ფოტოები, რეპორტაჟები, პეიზაჟები ამშვენებენ გაზეთის ფურცლებს.
მშვიდობით, ჩვენო ავთანდილ, არდავიწყება შენს სპეტაკ სულს, ღმერთმა ნათელში გამყოფოს, მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მშობლიური ბორჯომის მიწა, ამინ!

**მეგობრები.**



შვილები გია (გიორგი), ნინო, შვილიშვილი თამრიკო და თინა, ძმა შოთა, დისშვილები, ძმიშვილები, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ავთანდილ იასონის ძე გელაშვილი**

დაკრძალვა 15 სექტემბერს, 2 საათზე, ჭავჭავაძის ქ.№7

ბორჯომის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბორჯომზე და ბორჯომელებზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნება

**ავთანდილ გელაშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## ომარ ტალახაძის გახსენება



ძვირფასო ომარ, 13 სექტემბერი შენი დაბადების დღეა. 80 წელი შეგისრულდებოდა და ჩვენც დიდი სიყვარულითა და სიამაყით შევხვდებოდით. უკვე 13 წელი ხდება რაც ამქვეყნიდნ წახვედი. მძიმე სენმა გამოგვაცალა შენი თავი, მაგრამ ჩვენს გულებში ყოველთვის ცოცხალი ხარ. შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. რაც მთავარია, შენ დაგვიტოვე სამართლიანი და კაცური კაცის სახელი. ახლა კი ისღა დაგვრჩენია, სანთელი აგინთოთ და ვილოცოთ შენი ლამაზი სულისათვის.

**ოჯახი**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. №57.
borjomi@inbox.ru
რედაქტორი: ვალერიან ლომიძე